ქალთა კონსულტაციების მონაცემებით, 2009 წელს საქართველოში აღრიცხვაზე 83957 ორსული იმყოფებოდა. საანგარიშო წელს შემოსულ ორსულთა 53,3% აღრიცხვაზე აყვანილ იქნა 12 კვირის ორსულობის ვადამდე (52,1% - 2008 წელს). წლის განმავლობაში მეთვალყურეობიდან მოხსნილია 57536 ორსული, მათ შორის: 52174 ქალმა (90,7%) ორსულობა მიიტანა ბოლომდე, 1,6%-ში აღირიცხა თვითნებური აბორტი (ორსულობის 22 კვირამდე). დროულად იმშობიარა 50714 (97,2%) ქალმა (ცხრილი 3.5).

2009 წელს 4 სრულ ვიზიტზე კონსულტაციებს მიმართა ქალთა 78,5%-მა (71,8% - 2008 წელს). ვიზიტების დროს თერაპევტის მიერ გასინჯულია 49278 ორსული, მათ შორის 54,6% - 12 კვირის ორსულობის ვადამდე. რეზუს-ფაქტორზე, სიფილისზე და აივ-ინფექციაზე გამოკვლეულ იქნა, შესაბამისად, 54122, 49908 და 48123

ორსული. 7164 ქალი გაგზავნილ იქნა C-პეპატიტზე გამოსაკვლევადაც (ცხრილი 3.6).

2007 წლის ივნისიდან საქართველოში როსტროპოვინ-ვიშნევსკაიას ფონდის მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა ორსულ ქალთა სისხლის შრატის ლაბორატორიული კვლევა HBS ანტიგენის გამოსავლენად. 2007 წლის ივნისიდან 31 დეკემბრამდე HBS ანტიგენზე გამოკვლეულია 26015, 2008 წელს - 40129 ორსული, 2009 წელს - 47123 ორსული. ამის გარდა, დაიწყო ანტიგენდადებითი დედებისგან დაბადებული, B-ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირების მაღალი რისკის მქონე ბავშვების B-ჰეპატიტის საწინააღმდეგო იმუნოგლობულინით პასიური იმუნიზაცია. 2007 წლის ივნისიდან 31 დეკემბრამდე აიცრა 557, ხოლო 2008 წელს - 1316 ბავშვი.


2009 წელს გამოკვლეულ 47123 ორსულიდან HBS იმუნოფერმენტული ტესტ-სისტემებით გამოკვლევის შედეგად ანტიგენდადებითი აღმოჩნდა 1532 ქალი, რომელთაგან 2009 წელს დაბადებულ 1497 ბავშვს ჩაუტარდა B-ჰეპატიტის საწინააღმდეგო იმუნოგლობულინით პასიური იმუნიზაცია.

დაავადებების სტრუქტურაში, რომლებიც უსწრებენ ან ვითარდებიან ორსულობის პერიოდში, ართულებენ ორსულობას, მშობიარობას და ლოგინობის ხანას, მაღალია ანემიების (35,7%), შარდ-სასქესო სისტემის დაავადებების (15,6%) და ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების (13,7%) წილი. საანგარიშო პერიოდში ორსულობის პათოლოგიის გამო ჰოსპიტალიზებულია 2668 ქალი.

2009 წელს სამედიცინო დაწესებულებებმა აღრიცხეს 61656 მშობიარობა, აქედან სამშობიარო სახლებში/განყოფილებებში იმშობიარა 61441 (99,7%) ქალმა. ბინაზე მშობიარეთა წილი კვლავ შემცირდა და 0,3% (215 შემთხვევა) შეადგინა (ცხრილი 3.3). სამშობიარო სახლებში/განყოფილებებში მიღებული მშობიარობებიდან 64,4% ფიზიოლოგიური, ხოლო 35,6% - პათოლოგიურია.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების დიდ ნაწილში აღირიცხა საკეისო კვეთების რაოდენობის მატება - მათ სულ მშობიარობათა რაოდენობის 30-35% შეადგინეს. განსაკუთრებით მოიმატა საკეისო კვეთების პროცენტმა კერძო სამშობიარო სახლებში (ზოგიერთ შემთხვევაში 40-80%-მდე). ამასთან ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად, საკეისო კვეთების "იდეალურ მაჩვენებლად" 15% ითვლება.

2009 წელს საქართველოში ჩატარებულია 17722 საკეისრო კვეთა, რაც მშობიარობათა რაოდენობის 28,7%-ს შეადგენს (შედარებისთვის: 2007 წელს – 22,2%, 2008 წელს – 24,7%). პირველადი საკეისრო კვეთა შეადგენდა საერთო რაოდენობის 67,9%-ს, მათ შორის 57,9% იყო სასწრაფო (ცხრილი 3.7, 3.8). **სამეანო მამები** გამოყენებულ იქნა 81, ხოლო **ვაკუუმექსტრაქცია** 149 შემთხვევაში. ტრავმებით გართულებული მშობიარობების წილი მშობიარობების საერთო რაოდენობაში 4,7%-ს შეადგენს (სურათი 3.6).



მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომი პერიოდის გართულებების სტრუქტურაში მაღალია ანემიის (23,1% - 3176 შემთხვევა), მშობიარობის დროს შორისის დაზიანების (21,2% - 2914 შემთხვევა), ნაყოფის არასწორი ან წინამდებარეობით გართულებული მშობიარობა (12,7% - 1748 შემთხვევა), სამშობიარო მოქმედების დარღვევების (12,6% - 1742 შემთხვევა) და პრეკლამსიის და ეკლამსიის (12,4% - 1714 შემთხვევა) წილი. მშობიარობის და მშობიარობის შემდგომი პერიოდის ინფექციების წილი შეადგენდა 0,3% (45 შემთხვევა).

2009 წლამდე საქართველოში აღინიშნებოდა **დედათა სიკვდილიანობის** მაჩვენებლის შემცირების ტენდენცია და დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელმა 100000 ცოცხალშობილზე 1990-2008 წლების მინიმალურ მნიშვნელობას 2008 წელს მიაღწია – 14,3. 2009 წელს, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში საქართველოს სტაციონარებმა წარმოადგინეს ანგარიში დედის გარდაცვალების 27 შემთხვევაზე. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის შესაბამისი სამსახურების და საქსტატის დემოგრაფიის სამმართველოს მონაცემების შედარების შედეგად, გამოვლინდა, რომ გარდაცვლილ ქალთა ნაწილს, გარდაცვალების სამედიცინო ცნობაში არ ჰქონდათ მითითებული

ორსულობა/მშობიარობა. ორივე უწყების შეჯერებული მონაცემებით გამოვლინდა 33 გარდაცვლილი დედა, მ.შ. ერთი, რომელიც საავადმყოფოს უწყებრივ ანგარიშში არის აღრიცხული (მაგრამ საქსტატში წარმოდგენილი არ არის გარდაცვალების სამედიცინო ცნობა). შედეგად დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი გაიზარდა და იგი 100000 ცოცხალშობილზე (საქსტატის მონაცემებით, 63377 ცოცხალშობილი) 52,1 გახდა (სურათი 3.1, 3.2, 3.3, 3.4).

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2005 წლის შეფასებითი მონაცემებით, საქართველოში დედის სიკვდილიანობის მაჩვენებელი 66,0 ტოლია (განუსაზღვრელობის ინტერვალი 18-230 წარმოადგენს).

საქსტატთან ერთად გადახედილ იქნა დედის სიკვდილის მიზეზები და მათი კოდირების სიზუსტე. 2009 წელს დედათა გარდაცვალების 33 შემთხვევიდან 5 - გამოწვეული იქნა გრიპით, 2 - მელოგინეთა სეფსისით, 3 - სამეანო ემბოლიით, 9 - სიკვდილის დაუზუსტებელი მიზეზით (ცხრილი 3.9).

საქსტატთან ერთობლივი მუშაობის შედეგად 2009 წელს გამოვლენილია დედათა გვიანი (1 წლის განმავლობაში) გარდაცვალების 2 შემთხვევა.

2008 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაფინანსებული ჯონ სნოუს კვლევისა და სწავლების ინსტიტუტის (JSI) ქალთა ჯანმრთელობის პროგრამამ საქართველოში, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა და ამერიკის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრებმა შეასრულეს ორწლიანი ერთობლივი პროექტი საქართველოში რეპროდუქციული ასაკის ქალთა სიკვდილიანობის შესასწავლად*. თავდაპირველად კვლევა მიმართული იყო 2006 წელს საქართველოში გარდაცვლილ დედათა სიკვდილიანობის მასშტაბისა და მიზეზების შესწავლაზე. თუმცა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოთხოვნით კვლევა გაფართოვდა და მის ფარგლებში განხორციელდა 2006 წელს გარდაცვლილ საქართველოში მუდმივად მცხოვრები 15-49 ასაკის ქალთა სიკვდილის ყველა შემთხვევის მიზეზის შესწავლა.

* რეპროდუქციული ასაკის ქალთა სიკვდილიანობის კვლევა (RAMOS)

რეპროდუქციული ასაკის ქალთა სიკვდილიანობის კვლევისა და საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2006 წლის რეპროდუქციული ასაკის ქალთა სიკვდილიანობის სტრუქტურის შედარებამ აჩვენა, რომ ოფიციალურ სტატისტიკაში ახალწარმონაქმნებით (32,7%) და გარეგანი მიზეზებით გამოწვეული (74,7%) სიკვდილიანობის აღრიცხვა არასრულია, ხოლო გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა (65,8%) და არასწორად განსაზღვრული სიმპტომებით (37,9%) გამოწვეული სიკვდილიანობის აღრიცხვიანობა გაზვიადებულია (100% მიღებულია საქსტატის მონაცემები).

2009 წელს საქართველოში ჩატარდა 9722 ოპერაცია ქალის სასქესო ორგანოებზე (ლეტალობა 0,08%), მ.შ. 1235 საშვილოსნოს ამპუტაცია. სამედიცინო-გინეკოლოგიური 35535 ოპერაციიდან, საშვილოსნოსგარე ორსულობის გამო გაკეთდა 1219 ოპერაცია (ლეტალობა 0,1%) (ცხრილი 3.20).

საანგარიშო წელს აღირიცხა 24311 აბორტი, მათ შორის 1,8% (436 შემთხვევა) პირველი ორსულობის დროს. აბორტების საერთო ორსულობიდან 21 გაკეთდა 15 წლამდე, ხოლო 1689 - 15-19 წლის ასაკის ქალებში (ცხრილი 3.10, 3.11).


მოზარდთა ორსულობა და ადრეული დედობა და მამობა განაპირობებს მოზარდთა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის არადაშვებულ მდგომარეობას, განათლების დაბალ დონეს და დედის და ბავშვის სოციალურ იზოლაციას და სიღარიბეს. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოზარდთა ორსულობის მაჩვენებელი 1000 გოგონაზე 15-დან 25 შემთხვევამდეა. აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 2-4-ჯერ მეტია. საქართველოში მოზარდთა ორსულობის მაჩვენებელი 1000 15-19 წლის ქალზე 62-ის ტოლია (სურათი 3.7).

2009 წელს, სამედიცინო დაწესებულებების მონაცემებით, კორმონალურ კონტრაცეპტივებს იყენებდა 10324, ხოლო საშვილოსნოსშიდა საშუალებებს - 6408 ქალი, მათ შორის 2215 ქალს საშვილოსნოსშიდა საშუალება ჩაეღება საანგარიშო წელს (ცხრილი 3.10).

ქალთა კონსულტაციებს და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კაბინეტებს (ანტენატალური დახმარების გარდა) 35222 ქალმა და 1681 მამაკაცმა მიმართა (ცხრილი 3.12). **მიმართულების სტრუქტურა** შემდეგნაირია: 31,7% (11683 შემთხვევა) - კონტრაცეპციის მეთოდის


შერჩევა; 13,8% (5103 შემთხვევა) - კონტრაცეპციის უკვე გამოყენებული მეთოდის შემოწმება; 8,5% (3146 შემთხვევა) - უშვილობა, 7,5% (2765 შემთხვევა) - კლიმაქსი. **სქესობრივი გზით გადადებ დაავადებებზე** გამოკვლეულია 26634 ადამიანი (26321 ქალი და 313 მამაკაცი). აღრიცხულია სიფილისის 17, გონორეის 48, ქლამიდიოზის 437, ტრიქომონიოზის 3268, ბაქტერიული ვაგინოზის 2864 და პაპილოვირუსული ინფექციის 756 შემთხვევა.

სურათი 3.7 მოზარდთა ორსულობის მაჩვენებლები (15-19 წლის 1000 ქალზე), საქართველო, 2000 - 2009



2009 წელს ცოცხალი დაიბადა 61677 ბავშვი (ცხრილი 3.3, 3.4). სტაციონარში დაბადებული 61468 ცოცხალშობილიდან 93,9% დაიბადა 2499 გრამზე მეტი წონით (ცხრილი 3.14, სურათი 3.8).

სურათი 3.8 დაბადებისას დაბალი წონის ცოცხალშობილთა პროცენტული წილი ცოცხალშობილთა საერთო რაოდენობაში, რეპროდუქციის პიკში, საქართველო, 2009




სტაციონარებში დაბადებული ცოცხალშობილებიდან 8,7% (5328 ბავშვი) დაიბადა ავადმყოფი ან გახდა ავად. დაავადებათა 91,4% (4867 შემთხვევა) პერინატალურ პერიოდში წარმოქმნილ მდგომარეობებზე და 7,3% (391 შემთხვევა) თანდაყოლილ ანომალიებზე მოდის (ცხრილი 3.15). დაავადებულთა შორის 104 ახალშობილის წონა 500-999 გრამი იყო, 1443 ახალშობილის - 1000-2499 გრამი, 3781-ის წონა კი - 2500 გრამი და მეტი. სამშობიარო სახლებში დაბადებულ ცოცხალშობილთა 4,1% გადაყვანილი იქნა ბავშვთა კლინიკების

დღენაკლულთა და ახალშობილთა განყოფილებებში.

ბუნებრივ კვებაზე დაბადებიდან ერთი საათის განმავლობაში მიეცანილ იქნა ცოცხალშობილთა 67,4%, ხოლო 3 თვის ასაკამდე ბუნებრივ კვებაზე იმყოფებოდა ახალშობილთა 36,7% (ცხრილი 3.16).


2009 წელს საქართველოში გარდაიცვალა 0-6 დღემდე ასაკის 558 ახალშობილი (ადრეული ნეონატალური სიკვდილიანობის მაჩვენებელი – 9,0) (ცხრილი 3.4), აქედან სამშობიარო სახლებში გარდაიცვალა 170 (30,5%) ახალშობილი, ბავშვთა კლინიკებში – 388 (69,5%).

საანგარიშო წელს აღირიცხა 665 მკვდრადშობილი, რაც 7,2%-ით ნაკლებია 2008 წელთან შედარებით. მათ შორის 517 ნაყოფი (77,7%) დაბალი წონის (2500 გრამზე ნაკლები) იყო (ცხრილი 3.14, სურათი 3.9).



90-იან წლებში საქართველოში მკვდრადშობილთა შეფარდება ადრეულ ნეონატალურ პერიოდში გარდაცვლილ ბავშვებთან 2:1 შეადგენდა. 1994 წელს საქართველომ ოფიციალურად მიიღო ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ცოცხლადშობილის განსაზღვრება, რამაც გამოიწვია ადრეული ნეონატალური სიკვდილიანობის მაჩვენებლის ზრდა და შეფარდების 1:1 მიახლოება. თუმცა შემდგომ წლებში ეს შეფარდება ისევ გაიზარდა, რაც შესაძლოა დაკავშირებულია ჯანმრთელობის განსაზღვრების არასწორ გამოყენებასთან ან მის არცოდნასთან (სურათი 3.10).

2009 წელს, სამედიცინო დაწესებულებების მიერ, საქართველოში აღირიცხა 0-15 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალების 1044 შემთხვევა. აქედან: 0-1 წლამდე ასაკის – 872 (ჩვიდ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი – 14,1); 0-5 წლამდე ასაკის – 949 ბავშვი (სიკვდილიანობის მაჩვენებელი – 15,4). 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა 94,7% გარდაიცვალა სტაციონარებში (ცხრილი 3.17, სურათი 3.5).



ამბულატორულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების მონაცემებით, 2009 წელს საქართველოში 0-15 წლის ბავშვებში რეგისტრირებული იყო 475824 დაავადების შემთხვევა (პრევალენტობა – 63198.8), მათ შორის სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით – 394061 (ინციდენტობა – 52339.1). ინციდენტობა მაღალია დაავადებათა შემდეგ კლასებში: სუნთქვის ორგანოთა დაავადებები (246604 შემთხვევა, ინციდენტობა – 32753.9), ინფექციური და პარაზიტული დაავადებები (34583 შემთხვევა, ინციდენტობა – 4593.3), საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები (19030 შემთხვევა, ინციდენტობა – 2527.6).

ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებში აღირიცხულია დაავადებების 205850 ახალი შემთხვევა (ინციდენტობა – 81686.5). 1 წლამდე ასაკის ბავშვებში აღირიცხულ იქნა დაავადებების 62296 ახალი შემთხვევა (ინციდენტობა – 105586.4). ორივე ასაკობრივ ჯგუფში მაღალი ინციდენტობით ხასიათდება სასუნთქი სისტემის დაავადებები (ცხრილი 3.18, 3.19).

საანგარიშო წელს სტაციონარიდან გაეიდა 65490 ბავშვი (პოსპიტალიზაციის დონე 1000 ბავშვზე – 870), მათ შორის ერთ წლამდე ასაკის – 23469 (პოსპიტალიზაციის დონე 1000 ბავშვზე – 3978). ერთ წლამდე ასაკის ბავშვებში პოსპიტალიზაციის დონე მაღალია სასუნთქი სისტემის დაავადებების (183,5 – 10824 შემთხვევა), პერინატალურ პერიოდში წარმოქმნილი ცალკეული მდგომარეობების (110,4 – 6511 შემთხვევა) და ინფექციური და პარაზიტული დაავადებების (55,2 – 3258 შემთხვევა) კლასებში (ცხრილი 2.36).

ცხრილი 3.1 ავადმყოფობის ტვირთი საქართველოში, დსთ-8 და ეკ-ში, 2002				
	ავადმყოფობის ტვირთის წილი (%)			
	საქართველო	დსთ-8	ეკ-27	ეკ-15
სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები	28	22	14	12
ფსიქონევროლოგიური ავადმყოფობები	22	16	30	32
არაფინანსური განზრახული ტრავმები	5	8	8	7
ინფექციური და პარაზიტული დაავადებები	5	7	2	2
პერინატალურ პერიოდში განვითარებული ზოგიერთი მდგომარეობა	8	5	--	--
საჭმლის მომნელობელი სისტემის დაავადებები	3	6	5	4
რესპირაციული ინფექციები	3	6	--	--
კვალ-კუნთოვანი სისტემის და უმცირესობის ქსოვილის დაავადებები	5	--	4	--
ავთვისებიანი ახალწარმოქმნილი	3	6	13	13
გრძნობათა ორგანოების დაავადებები	4	4	4	4
არაგადამდები დაავადებები სულ	89	82	87	84
ინფექციური დაავადებები სულ	5	7	2	2
ტრავმები სულ	6	11	11	10

ცხრილი 3.2 ავადმყოფობის ტვირთი 0-14 წლამდე ასაკის ბავშვებში საქართველოში და ევროპის რეგიონში (DALYS 1000 მოსახლეზე), 2002		
	საქართველო	ევროპის რეგიონი
ახალშობილთა დაავადებები = მცირე მასა დაავადებისას, ასფიქსია დაავადებისას, სეპსისიარო ტრავმა	32,4	11,8
წმელა და ქვედა სასუნთქი გზების ინფექციები	7,1	7,4
მძიმე თანდაყოლილი ანომალიები = გულის თანდაყოლილი მანკები, დაუნის სინდრომი, ჰერეტის არხის არასრული დახურვა (SPINA BIFIDA)	1,7	6,3
ნეიროფსიქიური ავადმყოფობები = უნიკლარული დეპრესიული ავადმყოფობები, შიზოფრენია, შიზოფრენია, შიზოფრენია	6,0	6,0
იოდის დეფიციტი	4,3	3,8
არაფინანსური განზრახული ტრავმები = გარდნა, სატრანსპორტო უბედური შემთხვევები, ჩაძირვა წყალში და დახრწობა	1,4	3,3
ასთმა	2,3	1,9

ჯანმრთელობის დაცვა, საქართველო, 2009

ცხრილი 3.3 შობადობა, გაფშვთა და ღმდათა სიკვდილიანობა (სამედიცინო დაფესხეულეხეხის მონაცემეხი), საქართველო, 2004 – 2009						
	2004	2005	2006	2007	2008	2009
მშობიარეობა სულ	46734	47246	48181	49626	56096	61656
მათ შორის სამშობიარო სახლში	45554	46537	47593	49317	55850	61441
ბინაზე	1180	709	588	309	246	215
ცოცხალშობილეხის რაოდენობა სულ	46373	47022	47856	49476	56025	61677
მათ შორის ბინაზე ღაბადმეულეხი შემდგომი კონსიტალეზაციის გარეშე	1028	688	536	308	235	209
მკვდრადშობილეხის რაოდენობა	722	766	817	738	717	665
გარდაიცვალა 0 - 1 წლაამდე*	834	851	882	699	802	872
გარდაიცვალა 0 - 6 ღლემდე	561	585	604	467	516	558
გარდაიცვალა 7 - 28 ღლემდე	147	123	146	118	147	214
გარდაიცვალა 29 - 365 ღლემდე	126	143	132	114	139	100
გარდაიცვალა 0-5 წლაამდე*	929	911	945	945	898	949
გარდაიცვალა ორსული, მშობიარე და მშობიარე სულ	21	11	11	10	8	33**
მკვდრადშობადობა 1000 ღაბადმეულეზე	15,3	16,0	16,8	14,7	12,6	10,7
ადრეული ნონატალური სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილეზე	12,1	12,4	12,6	9,4	9,2	9,0
გვიანი ნონატალური სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილეზე	3,2	2,6	3,1	2,4	2,6	3,5
პერინატალური სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ღაბადმეულეზე	27,2	28,3	29,2	24,0	21,7	19,7
0 - 1 წლაამდე ასაკის გაფშვთა სიკვდილიანობა 1000 ცოცხალშობილეზე*	18,0	18,1	18,4	14,1	14,3	14,1
0 - 5 წლაამდე ასაკის გაფშვთა სიკვდილიანობა 1000 ცოცხალშობილეზე*	20,0	19,4	19,7	15,7	16,0	15,4
ღმდათა სიკვდილიანობა 100000 ცოცხალშობილეზე	45,3	23,4	23,0	20,2	14,3	52,1***

ცხრილი 3.4 შობადობა და გაფშვთა სიკვდილიანობა რეგიონეხის მიხედვით (სამედიცინო დაფესხეულეხეხის მონაცემეხი), საქართველო, 2009								
	ცოცხალ-შობილთა რაოდენობა	მკვდრად-შობილთა რაოდენობა	მაჩვენებელი 1000 ღაბადმეულეზე	0 - 1 წლაამდე გარდაცვლილთა რაოდენობა	მაჩვენებელი 1000 ცოცხალ-შობილეზე	0 - 6 ღლემდე გარდაცვლილთა რაოდენობა	მაჩვენებელი 1000 ცოცხალ-შობილეზე	პერინატალური სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ღაბადმეულეზე
ატარა	6162	57	9,2	73	11,8	40	6,5	15,6
თბილისი	26266	357	13,4	513	19,5	311	11,8	25,1
კახეთი	3465	17	4,9	30	8,7	19	5,5	10,3
იმერეთი	9148	112	12,1	174	19,0	134	14,6	26,6
სამეგრელო და ზემო სვანეთი	4468	29	6,4	16	3,6	9	2,0	8,5
შიდა ქართლი	3204	32	9,9	28	8,7	23	7,2	17,0
მედი ქართლი	4893	35	7,1	16	3,3	11	2,2	9,3
გურია	1141	7	6,1	2	1,8	2	1,8	7,8
სამცხე - ჯავახეთი	2318	18	7,7	17	7,3	7	3,0	10,7
მცხეთა - მთიანეთი	522	1	1,9	3	5,7	2	3,8	5,7
რატა - ღმესში და მემო სვანეთი	90	0	0,0	0	0,0	0	0,0	0,0
საქართველო	61677	665	10,7	872	14,1	558	9,0	19,6

* 0-1 და 0-5 წლაამდე ასაკში გარდაცვლილ გაფშვთა რაოდენობა წარმოადგენს სტაციონარეხში და ბინაზე გარდაცვლილ გაფშვთა რაოდენობის ჯამს

** საქსტატის და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის შეჯერებული მონაცემეხი

*** ღმდათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი დათვლილია საქსტატის მიერ აღრიცხულ ცოცხალშობილთა რაოდენობაზე - 63377

ცხრილი 3.5 ქალთა კონსულტაციების ზოგიერთი მონაცემები ორსულთა კონტინენტის მეთვალყურეობის შესახებ, საქართველო, 2009					
	მეთვალყურეობიდან პრესნა სულ	ორსულთა მიიტანეს გოლოფე		ორსულთა რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს 4 ანტენატალური ვიზიტი	
		რაოდენობა	%	რაოდენობა	%
ატარა	6434	5879	91,4	5080	79,0
თბილისი	21136	18809	89,0	14986	70,9
კახეთი	4007	3674	91,7	2780	69,4
იმერეთი	8839	8150	92,2	6557	74,2
სამეგრელო და ზემო სვანეთი	4075	3688	90,5	3234	79,4
შიდა ქართლი	3556	3021	85,0	2878	80,9
ქვემო ქართლი	5229	5092	97,4	2441	46,7
გურია	1175	1136	96,7	792	67,4
სამცხე - ჯავახეთი	2356	2088	88,6	1747	74,2
მცხეთა - მთიანეთი	575	523	91,0	415	72,2
რაჭა - ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	154	114	74,0	63	40,9
საქართველო	57536	52174	90,7	40973	71,2

ცხრილი 3.6 ქალთა კონსულტაციების ზოგიერთი მონაცემები ორსულთა კონტინენტის მეთვალყურეობის შესახებ, საქართველო, 2009						
	ორსულთა რაოდენობა, რომლებიც გამოიკვეთიეს სიზილისზე		ორსულთა რაოდენობა, რომლებიც გამოიკვეთიეს აივ ინფექციისზე		ორსულთა რაოდენობა, რომლებიც გამოიკვეთიეს კეპატიტ B-ზე	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
ატარა	5454	84,8	5844	90,8	5761	89,5
თბილისი	19008	89,9	17840	84,4	17353	82,1
კახეთი	3138	78,3	2900	72,4	2829	70,6
იმერეთი	8935	101,1	8748	99,0	8747	99,0
სამეგრელო და ზემო სვანეთი	3656	89,7	3742	91,8	3729	91,5
შიდა ქართლი	2550	71,7	1162	32,7	1159	32,6
ქვემო ქართლი	4094	78,3	4502	86,1	4394	84,0
გურია	896	76,3	981	83,5	875	74,5
სამცხე - ჯავახეთი	1606	68,2	1831	77,7	1710	72,6
მცხეთა - მთიანეთი	479	83,3	464	80,7	464	80,7
რაჭა - ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	92	59,7	109	70,8	102	66,2
საქართველო	49908	86,7	48123	83,6	47123	81,9

ცხრილი 3.7 საკმისრო კვეთების რაოდენობა და სტრუქტურა, საქართველო, 2008 - 2009						
	2008			2009		
	სულ	მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე	% საერთო რაოდენობიდან	სულ	მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე	% საერთო რაოდენობიდან
სულ	13870	246,2	100	17722	287,3	100
გათ შორის						
გვამიერი	6934	--	50,0	8498	--	48,0
სასწრაფო	6936	--	50,0	9224	--	52,0

ცხრილი 3.8 საკმისრო კვითების რაოდენობა და მაჩვენებელი, საქართველო, 2009				
	მშობიარობათა რაოდენობა	საკმისრო კვითათა რაოდენობა	საკმისრო კვითათა % მშობიარობებიდან	მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე
ატარა	6140	2031	33,1	329,6
თბილისი	26295	7400	28,1	281,7
პანეთი	3455	921	26,7	265,8
იმერეთი	9155	3229	35,3	353,0
სამეგრელო და ჯემო სვანეთი	4453	1760	39,5	393,9
შიდა ქართლი	3200	671	21,0	209,4
ქვემო ქართლი	4895	1140	23,3	233,0
გურია	1138	247	21,7	216,5
სამცხე - ჯავახეთი	2321	201	8,7	86,7
მცხეთა - მთიანეთი	515	108	21,0	206,9
რაჭა - ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	89	14	15,7	155,6
საქართველო	61656	17722	28,7	287,3

ცხრილი 3.9 დედათა სიკვდილის მიზეზები, საქართველო, 2009		
სიკვდილის მიზეზები	კოდები დსკ-X გადასინჯვის მიხედვით	რაოდენობა
გარდაიცვალა ორსულობის, მშობიარობის და ლობინობის ხანის ბართულებებით სულ		33
მათ შორის		
ორსულობა, რომლის გამოსავალია აბორტი	O00.X -O07.X	2
მკლავისა დაუზუსტებელ პერიოდში	O15.9	4
პლავენტას ნაადრევი აცლა სისხლის შედეგების უნარის დარღვევით	O45.0	2
მელორბინეთა სეფსისი	O85	2
სამეანო მებოლია	O88	3
სამეანო სიკვდილი დაუზუსტებელი მიზეზით	095	9
თავის ტვინის ნეიროცისტინგრაფი	098.8	1
გულსისხლკარავთა სისტემის ავადმყოფობები, რომლებიც ართულებენ ორსულობას, მშობიარობას და ლობინობის ხანას	099.4	3
მ.შ. ფილტვის არტერიის მებოლია	099.4 (I26.9)	1
გულის უკვარისობა, დაუზუსტებელი	099.4 (I50.9)	2
სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები, რომლებიც ართულებენ ორსულობას, მშობიარობას და ლობინობის ხანას	099.5	5
მ.შ. გრძივი, გამოწმული გრძივის ილმტინფინგრაფული ვირუსით	099.5 (J10.0)	5
სხვა დაუზუსტებული ავადმყოფობები, რომლებიც ართულებენ ორსულობას, მშობიარობას და ლობინობის ხანას	099.8	2

ცხრილი 3.10 აბორტები და კონტრაცეპტივების გამოყენება, საქართველო, 1991 – 2009						
	ცოცხალშობილთა რაოდენობა	აბორტები		აბორტების მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე	საშვილოსნოსშიდა საშუალებების გამოყენება	პროგრესული კონტრაცეპტივების გამოყენება
		სულ	მათ შორის მიწის აბორტი			
1991	89091	59384	9772	717,7	15790	7732
1992	72631	50748	10256	730,8	9588	5419
1993	61594	45131	8391	789,4	8379	3468
1994	57311	45858	10295	857,9	9127	3983
1995	56341	39538	7522	715,2	9538	5181
1996	53300	30003	5867	554,1	10817	3699
1997	52851	23403	5541	447,6	8171	4869
1998	49588	21018	6806	423,8	9148	6276
1999	46827	18306	6549	390,9	11539	9142
2000	46765	14951	5414	319,7	9120	7865
2001	46006	15008	5330	326,2	9032	8755
2002	45033	13908	5143	308,8	8252	8143
2003	44093	13834	5183	313,7	9084	9340
2004	46373	17210	6552	371,1	9047	10996
2005	47022	19734	6710	419,7	9643	10783
2006	47856	21204	7478	443,1	7581	10742
2007	49476	20644	7583	417,3	7548	9541
2008	56025	22062	7662	393,8	6554	12171
2009	61677	24311	8361	394,2	6408	10324

ცხრილი 3.11 აბორტები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო, 2009							
	სულ	მათ შორის ასაკობრივი ჯგუფები					
		15 წლამდე ასაკის	15-19 წელი	20-29 წელი	30-39 წელი	40-44 წელი	45 წელი და ზემოთ
აბორტების რაოდენობა	24310	21	1689	11638	9242	1538	182
მაჩვენებელი*	2075,1	16.2	987.7	3350.0	2920.1	982.7	101.1
მათ შორის							
თვითნებური	3557	4	354	1789	1187	187	36
ხელისუფლებით	20753	17	1335	9849	8055	1351	146
12 კვირამდე	20661	17	1330	9825	7997	1346	146
მიწის-აბორტი (5 კვირამდე)	8361	6	485	3687	3486	619	78
12-22 კვირამდე	86	0	5	23	54	4	0
სამართლიანად აბორტები პირველი ორსულობის დროს	436	0	106	257	66	6	1

* მაჩვენებელი გამოთვლილია შესაბამისი ასაკის 100000 ქალზე

ცხრილი 3.12 ზოგიერთი მონაცემები რეპროდუცირებული ჯანმრთელობის შესახებ*, საქართველო, 2009

	ბასინჯულია			მიმართვათა სამართო რაოდენობიდან				
	სულ	ქალი	მამაკაცი	უშვილოების გამო			კლიმაქსის გამო, ქალი	აბორტის გამო
				სულ	ქალი	მამაკაცი		
აჭარა	3146	3018	128	213	203	10	333	183
თბილისი	11078	10692	386	1524	1300	224	603	170
კახეთი	2863	2524	339	60	60	0	95	68
იმერეთი	9041	8497	544	648	619	29	865	878
სამეგრელო და ზემო სვანეთი	5134	4982	152	150	150	0	247	7
შიდა ქართლი	1287	1279	8	104	104	0	123	17
ქვემო ქართლი	1822	1757	65	96	96	0	199	108
გურია	848	828	20	104	104	0	139	100
სამცხე - ჯავახეთი	508	469	39	192	192	0	25	59
მცხეთა - მთიანეთი	207	207	0	45	45	0	61	7
რაჭა - ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	969	969	0	10	10	0	75	13
საქართველო	36903	35222	1681	3146	2883	263	2765	1610

ცხრილი 3.13 ზოგიერთი მონაცემები რეპროდუცირებული ჯანმრთელობის შესახებ*, საქართველო, 2009

	მიმართვათა სამართო რაოდენობიდან კონტრაცეპციის მეთოდის შესარჩევად		
	სულ	მამაკაცი	ქალი
აჭარა	1034	94	940
თბილისი	1703	64	1639
კახეთი	1066	137	929
იმერეთი	3938	350	3588
სამეგრელო და ზემო სვანეთი	2478	152	2326
შიდა ქართლი	237	8	229
ქვემო ქართლი	662	65	597
გურია	261	20	241
სამცხე - ჯავახეთი	154	39	115
მცხეთა - მთიანეთი	25	0	25
რაჭა - ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	125	0	125
საქართველო	11683	929	10754

ცხრილი 3.14 ცოცხალშობილთა და გეგმადშობილთა წონა გრამებში დაბადებისას (სამშობიარო სხელების მონაცემები), საქართველო, 2009

	სულ	500 - 999	1000 -1499	1500-2499	2500-3999	4000 +
დაიბადა ცოცხალი	61468	121	331	3300	52257	5459
% ცოცხალშობილთა სამართო რაოდენობიდან	100,0	0,2	0,5	5,4	85,0	8,9
დაიბადა გეგმად	665	265	120	132	128	20
% გეგმადშობილთა სამართო რაოდენობიდან	100,0	39,8	18,0	19,8	19,2	3,0

* პოლიკლინიკებში, ამბულატორიებში, ქალთა კონსულტაციებში, რეპროდუქციული ჯანმრთელობის კაბინეტებში მიმართულები, რომლებმაც დაკავშირებულია რეპროდუქციული ჯანმრთელობასთან, ანტენატალური დანხარების გარდა

ცხრილი 3.15 დაავადებების ინციდენტობა ახალშობილებში (სამშობიარო სახლების მონაცემები), საქართველო, 2009		
	ავადმყოფი ცოცხალშობილთა რაოდენობა	ინციდენტობა 1000 ცოცხალშობილზე
სულ	5328	86,7
მათ შორის		
პერინატალურ პერიოდში წარმოქმნილი ცალკეული მდგომარეობა	4867	79,2
მათ შორის: ზრდის შეფერხება და არასაკმარისი კვება	868	14,1
სამშობიარო ტრავმა	413	6,7
მათ შორის: ძალასშიდა სამშობიარო ტრავმა	123	2,0
პერინატალური პერიოდისთვის დამახასიათებელი რესპირატორული დარღვევები	2234	36,3
მათ შორის: საშვილოსნოსშიდა ჰიპოქსია, ასფიქსია მშობიარობისას	1233	20,1
ახალშობილთა რესპირატორული დისტრეს-სინდრომი	828	13,5
ახალშობილთა თანდაყოლილი პნევმონიები	15	0,2
პერინატალური პერიოდისთვის დამახასიათებელი ინფექციები	353	5,7
მათ შორის: ახალშობილთა სეპსისი	89	1,4
ნაყოფის და ახალშობილის კუმრავილი დარღვევები	112	1,8
მათ შორის: ნაყოფის მიერ სისხლის დაკარგვა	1	0,0
ნაყოფის და ახალშობილის ძალასშიდა არატრავმული სისხლჩაქცევა	92	1,5
ნაყოფის და ახალშობილის ქმეატოლოგიური დარღვევები	407	6,6
მათ შორის: იჰოიფუნიათი გაყოფილი კემოლიზური დაავადება	361	5,9
ნაყოფის და ახალშობილის დისემინირებული სისხლმარღვშიდა კოაგულაცია	8	0,1
ახალშობილთა ცერებრული მდგომარეობის სხვა დარღვევები	359	5,8
პერინატალური პერიოდის ახალშობილთა სხვა დაავადებები	121	2,0
თანდაყოლილი ანომალიები	391	6,4
ახალშობილთა სხვა დაავადებები	70	1,1

ცხრილი 3.16 ბუნებრივ კვებაზე მყოფ ახალშობილთა რაოდენობა, საქართველო, 2008 - 2009				
	2008		2009	
	სულ	% ცოცხალშობილთა რაოდენობიდან	სულ	% ცოცხალშობილთა რაოდენობიდან
სამშობიარო სახლების მონაცემები				
პირველი საათის განმავლობაში	36143	64,8	41411	67,4
1-8 საათის განმავლობაში	12050	21,6	12334	20,1
8-24 საათის განმავლობაში	4355	7,8	4081	6,6
ბუნებრივ კვებაზე მყოფ ახალშობილთა საერთო რაოდენობა	54434	97,6	59960	97,5
გაფშვთა კოლიკლინიკების მონაცემები				
3 თვის ასაკამდე ბუნებრივ კვებაზე მყოფ ახალშობილთა რაოდენობა	28693	51,4	22535	36,7

ცხრილი 3.17 სამედიცინო დაწესებულებებში აღრიცხულ გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობა, საქართველო, 2009												
	15 წლამდე ბავშვები				მათ შორის							
	სულ	საკვდელიანობის მაჩვენებელი 100000 ბავშვზე	რამდენი პროცენტია სტაციონარში (%)	რამდენი პროცენტია კონსტრუქციულად (%)	1 წლამდე ბავშვები				0-5 წლამდე ბავშვები			
					სულ	საკვდელიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე	რამდენი პროცენტია სტაციონარში (%)	რამდენი პროცენტია კონსტრუქციულად (%)	სულ	საკვდელიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე	რამდენი პროცენტია სტაციონარში (%)	რამდენი პროცენტია კონსტრუქციულად (%)
აჭარა	86	130,9	86,0	14,0	73	11,8	94,5	5,5	79	12,8	92,4	2,7
თბილისი	621	317,6	99,8	0,2	513	19,5	100	0	565	21,5	100,0	0
ქახეთი	35	50,9	74,3	25,7	30	8,7	80	20	33	9,5	78,8	3,7
იმერეთი	188	158,0	95,7	4,3	174	19,0	98,3	1,7	175	19,1	97,7	0,6
სამეგრელო და ზემო სვანეთი	24	29,9	54,2	45,8	16	3,6	62,5	37,5	18	4,0	61,1	8,3
შიდა ქართლი	32	60,7	84,4	15,6	28	8,7	92,9	7,1	29	9,1	89,7	3,7
ქვემო ქართლი	30	35,5	53,3	46,7	16	3,3	87,5	12,5	27	5,5	55,6	40,0
გურია	3	12,6	100	0	2	1,8	100	0	2	1,8	100,0	0
სამცხე - ჯავახეთი	22	61,5	45,5	54,5	17	7,3	47,1	52,9	18	7,8	44,4	11,1
მცხეთა - მთიანეთი	3	16,2	66,7	33,3	3	5,7	66,7	33,3	3	5,7	66,7	0
რაჭა - ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
საქართველო	1044	138,7	93,0	7,0	872	14,1	96,2	3,8	949	15,4	94,7	1,9

ცხრილი 3.18 დაავადებების ინციდენტობა ერთ წლამდე ასაკის ბავშვებში, საქართველო, 2009		
	ახალი შემთხვევების რაოდენობა	ინციდენტობა ერთ წლამდე ასაკის 100000 ბავშვზე
სულ	62296	105586,4
მათ შორის		
ინფექციური და პარაზიტული დაავადებები	3272	5545,8
სიმსივნეები	26	44,1
სისხლისა და სისხლძარღვოვანი სისტემის დაავადებები	2631	4459,3
მეტაბოლური სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული დაავადებები	2615	4432,2
ფსიქიკური და ქვეყნითი აშლილობები	24	40,7
ნერვული სისტემის დაავადებები	4830	8186,4
თვალებისა და მისი დანაწევების დაავადებები	1805	3059,3
ყურისა და ღვიძლისებრი მორჩის დაავადებები	2195	3720,3
სისხლის მიმოქცევის დაავადებები	167	283,1
სუნთქვის ორგანოების დაავადებები	37224	63091,5
საჭმლის მომკვლელობის ორგანოების დაავადებები	2035	3449,2
კანისა და კანქვეშა უჯრედების დაავადებები	1697	2876,3
კვალ-კუნთოვანი სისტემისა და შემაერთებელი ქსოვილის დაავადებები	238	403,4
შარდ-სასქესო სისტემის დაავადებები	884	1498,3
პერიტონალური პერიოდში განვითარებული ცალკეული მდგომარეობები	1174	1989,8
თანდაყოლილი მანკები, ღვიძლარაბიები და ქრომოსომული დარღვევები	592	1003,4
სიმკვრივე, ნივთები და ნორმალური გადარჩევი, გამოვლენილი კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევებისას	708	1200,0
ტრავმები, მოწვავებები და გარე მიზეზების შემთხვევები	179	303,4

ჯანმრთელობის დაცვა, საქართველო, 2009

ცხრილი 3.19 ღაავადმეგების ინციდენტობა სუთ ფლამდე ასაპის ბავშვებში, საქართველო, 2009		
	ასალი შმითხვევების რაოდენობა	ინციდენტობა სუთ ფლამდე ასაპის 100000 ბავშვზე
სულ	205850	81686.5
<i>ბათ შირის</i>		
ინფექციური ღა პარაზიტული ღაავადმეგები	19273	7648,0
სიმსივნეები	49	194,4
სისხლისა ღა სისხლშბადი ორბანოების ღაავადმეგები	7365	2922,6
ჰედოქრინული სისტემის, კვებისა ღა ნივთიერებათა ცვლის ღარღვევით გამოწვეული ღაავადმეგები	4565	1811,5
ფსიქიკური ღა ქვევითი აშლილობები	205	81,3
მერვული სისტემის ღაავადმეგები	9515	3775,8
თვალისა ღა მისი ღანაგატების ღაავადმეგები	5100	2023,8
ყურისა ღა ღვრისებრი მორჩის ღაავადმეგები	5987	2375,8
სისხლის მიმოქცევის ღაავადმეგები	406	161,1
სუნთქვის ორბანოების ღაავადმეგები	132777	52689,3
საჭმლის მომეღმეული ორბანოების ღაავადმეგები	6168	2447,6
კანისა ღა კანქვეშა უჯრედისის ღაავადმეგები	5122	2032,5
კვალ-კუნთოვანი სისტემისა ღა შმეგრთეული ქსოვილის ღაავადმეგები	686	272,2
შარდ-სასმისო სისტემის ღაავადმეგები	2948	1169,8
პერინატალურ პერიოდში განვითარებული ცალკეული ღღგოგარეგები	1174	465,9
თანღაყოლილი მანგები, ღეფორგაციები ღა ქრომოსომული ღარღვევები	969	384,5
სიმპტომები, ნიშნები ღა ნორმიღან ბაღასრები, გამოწვენილი კლინიკური ღა ღაბორატორიული გამოკვლევებისას	2025	803,6
ტრავმები, მოწაველები ღა ბარე მიწეშების ჴემოქმედების ჴოგბერით სხვა შმღგები	1516	601,6


ცხრილი 3.20 ოპერაციები ქალის სასმესო ორბანოებზე ღა სამეანო-გინეკოლოგიური ოპერაციები სტაციონარში, საქართველო, 2008 - 2009				
	2008		2009	
	სულ	ღებლობა (%)	სულ	ღებლობა (%)
ოპერაციები ქალის სასმესო ორბანოებზე	8543	0,06	9722	0,08
<i>ბათ შირის</i>				
საშვილოსნოს გამოწმება (აბორტის ბარეში)	1859	0	2395	0
ქალის სტერილიზაცია	197	0	192	0
საშვილოსნოს ამკუტაცია	1635	0,12	1235	0,08
საშვილოსნოს ქსტირააცია	2685	0,11	3570	0,20
საკვერცხის რეშექცია	789	0	851	0
ოვარექტომია	655	0	657	0
ქალის ბარეშა სასმესო ორბანოებზე ქსოვილის ამოკვეთით	230	0	177	0
სამეანო-გინეკოლოგიური ოპერაციები	32159	0,003	35535	0,01
<i>ბათ შირის</i>				
საშვილოსნობარე ორსულობა	1170	0	1219	0,1
მავის ღაღება	86	0	81	0
ვაკუუმექსტრაქცია	131	0	149	0
საკეისრო კვეთა	13870	0,01	17722	0,02
მცირე საკეისრო კვეთა	48	0	31	0
ნაყოფის ღაშლა	23	0	40	0
აბორტი	12763	0	16192	0

თავი 4

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა


უკანასკნელ წლებში საქართველოში აღინიშნება **ზოგადი ინციდენტობის და პრევალენტობის** ზრდის ტენდენცია, რაც განსაკუთრებით გამოიხატა 2009 წელს. 2008 წელთან შედარებით ზოგადი პრევალენტობა 41270,3-დან - 50243,8-მდე, ხოლო ინციდენტობა 18420,0-დან 26514,9-მდე გაიზარდა. გაზრდილია პრევალენტობის და ინციდენტობის მაჩვენებლები 15 წლამდე ასაკის ბავშვებშიც (შესაბამისად: პრევალენტობა 2008 წელს - 48946,4; 2009 წელს - 63198,8; ინციდენტობა 2008 წელს - 36808,3; 2009 წელს - 52339,1).

2009 წელს **ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობების** ახალი შემთხვევების რაოდენობამ მოიმატა: მთლიან პოპულაციაში - 25,8%-ით, ბავშვებში - 27,4%-ით. ინციდენტობა ქვეყნის მაჩვენებელზე მაღალია მცხეთა-მთიანეთში - 1725,8, გურიაში - 1716,4 და აჭარაში - 1701,8. ბავშვებში ინციდენტობა ქვეყნის მაჩვენებელზე მაღალია გურიაში - 7937,0, იმერეთში - 6644,5, მცხეთა-მთიანეთში - 6194,6, აჭარაში - 6152,2 (ცხრილი 4.1, 4.4, სურათი 4.1).




ინფექციური და პარაზიტული დაავადებების სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით აღრიცხულ შემთხვევათა მესამედზე მეტი სოფლის ექიმების და ამბულატორიების მიერ დაფიქსირდა.

საანგარიშო წელს აღირიცხა **ვირუსული ჰეპატიტების** 4644 ახალი შემთხვევა, რაც 21,5%-ით ნაკლებია 2008 წელთან შედარებით. 2009 წელს **A ჰეპატიტის** და **ლაზერუსტეპელი** მწვავე ვირუსული ჰეპატიტების შემთხვევათა რაოდენობის კლების ტენდენცია გაგრძელდა. 2008 წელთან შედარებით შემთხვევების რაოდენობამ დაიკლო 2-ჯერ (ცხრილი 4.2, 4.3, სურათი 4.2).



2009 წელს რეგისტრირებულია **ვირუსული B ჰეპატიტის** 1634 შემთხვევა (ინციდენტობა - 37,0), მათ შორის 126 (7,7%) მწვავე და 1508 (92,3%) ქრონიკული შემთხვევა. **C ჰეპატიტის** 1968 აღრიცხული შემთხვევიდან (ინციდენტობა - 44,6) 68 (3,4%) მწვავეა, ხოლო 1900 (96,6%) - ახლად გამოვლენილი ქრონიკული. B და C ჰეპატიტების შემთხვევათა კლება ძირითადად მწვავე B და C ჰეპატიტების კლებამ გამოიწვია (ცხრილი 4.2, 4.3, 4.6, 4.7, სურათი 4.3).




2009 წელს საქართველოში გაგრძელდა **დიფთერიის** შემთხვევათა კლება, 3 შემთხვევიდან ერთი აღრიცხულია 15-19 წლის, ხოლო 2 - 60 წელზე მეტ ასაკობრივ ჯგუფებში (ცხრილი 4.3).

ამეზიასის 4 შემთხვევიდან ბავშვებში აღრიცხულია 1.

2009 წელს მოიმატა **ბაქტერიული საკვებისმიერი ინფექციების** შემთხვევათა რაოდენობამ, თუმცა **ბოტულიზმის** შემთხვევათა რაოდენობამ 3,5-ჯერ დაიკლო. ბავშვებში აღრიცხულია ბოტულიზმის 1 შემთხვევა.

საანგარიშო წელს დაიკლო **წითელას, წითურას და ყბაყურას** შემთხვევების რაოდენობამ, როგორც მთლიან პოპულაციაში, ასევე ბავშვებში (ცხრილი 4.3, სურათი 4.4).



2009 წელს გაგრძელდა **მაღარიის** შემთხვევათა რაოდენობის კლების ტენდენცია და საქართველოში აღირიცხა მხოლოდ 1 შემთხვევა. ინციდენტობა, შესაბამისად 7,3-დან (2003 წ.) 0,02-მდე (2009 წ.) შემცირდა.

2003-2007 წლებში საქართველოში აღინიშნებოდა **ლეიშმანიოზის** შემთხვევათა რაოდენობის მატება. ბოლო ორი წლის განმავლობაში ლეიშმანიოზის ინციდენტობამ მცირედ დაიკლო (2007 - 4,1, 2008 - 3,9, 2009 - 3,8). ბავშვებში ეს მაჩვენებელი 2008 წელთან შედარებით მომატებულია; აღირიცხული 138 შემთხვევიდან 125 - 0-5 წლამდე ასაკშია რეგისტრირებული (ცხრილი 4.2, 4.3).


2009 წელს აღირიცხულია **პიდროფობიის** 6 შემთხვევა. სამედიცინო დაწესებულებებს ანტირეპროდუქციული დახმარებისთვის მიმართა 41208 პაციენტი, რაც 9,3%-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით. პაციენტთა 93,8% მიიღო დანიშნულება ვაქცინაციაზე, აქედან 57,5%-ს დაენიშნა ანტირეპროდუქციული ვაქცინაციის პირობითი კურსი, 30,6%-ს აცრების სრული კურსი. პაციენტთა 11,9%-მა დამოუკიდებლად შეწყვიტა მკურნალობა.

საანგარიშო წელს აღირიცხა **მენინგიტების** 190 შემთხვევა (ინციდენტობა - 4,3), მათ შორის ბავშვებში შემთხვევათა რაოდენობამ მოიმატა 33 შემთხვევით (ინციდენტობა - 14,6). **მენინგოკოკების** 34 შემთხვევიდან 32 შემთხვევა (ინციდენტობა - 4,2) ბავშვებშია აღირიცხული (ცხრილი 4.2, 4.3). გარდაიცვალა 10 ავადმყოფი, მათ შორის 8 ბავშვი.

გამოვლენილია **მწვავე ღუნე დაბლის** 12 შემთხვევა 0-15 წლამდე ასაკის ბავშვებში (ინციდენტობა - 1,6), მათ შორის ერთი შემთხვევა ერთ წლამდე ასაკის, 3 შემთხვევა 1-4 წლის ასაკის, 8 შემთხვევა 5-14 წლის

ასაკის ბავშვებში. ეპიდზედაცვითი მაჩვენებელი ჯანმრთელობის მიერ შექმნილი პოლიომიელიტის ლიკვიდაციის სერტიფიცირების გლობალური კომისიის სტანდარტით (1 შემთხვევა 0-15 წლამდე ასაკის 100000 ბავშვზე) მაღალია.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში აღინიშნებოდა **ნაწლავური ინფექციების** ინციდენტობის მცირე კლება (სურათი 4.5). მიუხედავად ამისა, ისევ მაღალია **საგარეო ინფექციური წარმოშობის დიარეების** მაჩვენებელი: ინციდენტობა ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში - 225,0, ბავშვებში - 872,9 (ცხრილი 4.3, 4.4, 4.8, 4.9, სურათი 4.5).






2009 წელს აღირიცხულია **მწვავე რესპირაციული ინფექციების** 273468 და **გრიპის** 36136 შემთხვევა. მომატებულია მწვავე რესპირაციული ინფექციების და გრიპის შემთხვევათა რაოდენობა ბავშვებშიც (მაჩვენებლები, შესაბამისად, 24594,0 და 2067,2). გრიპის მსგავსი დაავადების დიაგნოზით აღირიცხულია პოსპიტალიზაციის 13656 შემთხვევა, რაც თითქმის 2-ჯერ მეტია, ვიდრე 2008 წელს. პოსპიტალიზაციის რაოდენობა 2-ჯერ გაზრდილია ბავშვებშიც (10383 პოსპიტალიზაცია). გრიპის რეგისტრირებული შემთხვევების საერთო რაოდენობა 3,5-ჯერ აღემატება წინა წლის მონაცემებს და საქართველოში პანდემიური გრიპის ვირუსის გავრცელებასთან არის დაკავშირებული.

2009 წელს საქართველოში დაფიქსირდა ლაბორატორიულად დადასტურებული გრიპით გარდაცვალების 19 შემთხვევა, მათ შორის ერთ შემთხვევაში ლაბორატორიულად დადასტურებული იყო B ტიპის ვირუსი, 15 - პანდემიური გრიპის ვირუსი, 1 - სეზონური გრიპის ვირუსი.

პანდემიური გრიპის ვირუსით გარდაცვლილთაგან 47%-ში აღინიშნა სხვა თანმხლები პათოლოგიები (შაქრიანი დიაბეტი, ჰემოლიზური ანემია, ვირუსული C ჰეპატიტი, ბრონქული ასთმა, ჭარბი წონა);

გარდაცვლილთა 20% იყო ორსული; დანარჩენი შემთხვევები აღწერილ იქნა, როგორც თანმხლები პათოლოგიების გარეშე მიმდინარე.

2009 წელს საქართველოში რეგისტრირებული იყო **ფილტვის და ფილტვარეშე ტუბერკულოზის** 4471 ახალი შემთხვევა (ინციდენტობა – 101,4), მათ შორის 3175 ფილტვის (ინციდენტობა - 72,0), ხოლო 1296 - ფილტვარეშე ტუბერკულოზის (ინციდენტობა – 29,4) ახალი შემთხვევა. ფილტვის ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების 64,7%-ს მგბ+ შემთხვევები შეადგენს (ცხრილი 4.13, 4.14, სურათი 4.6, 4.7, 4.8).



ყველა სახის ფილტვარეშე ტუბერკულოზის და ფილტვის ტუბერკულოზის ინციდენტობის და პრევალენტობის მაღალი მაჩვენებელია აჭარაში, თბილისში და სამეგრელოში (ცხრილი 4.15, 4.16, 4.17). ფილტვარეშე ტუბერკულოზის რეგისტრირებული შემთხვევების სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილი მოდის ტუბერკულოზურ პლევრიტზე (52,6%), ლიმფური კვანძების (22,9%) და ძვალ-სახსართა ტუბერკულოზზე (9,9%). ტუბერკულოზური მენინგიტის 32 შემთხვევიდან, 2 შემთხვევა აღრიცხულია ბავშვებში (ცხრილი 4.18, 4.19).

2009 წელს, 12 თვის წინ რეგისტრირებული ფილტვის მგბ+ ტუბერკულოზის ახალი 1868 შემთხვევის მკურნალობის შედეგად ავადმყოფთა 60,3% განიკურნა; მკურნალობა დაასრულა 13,2%-ში, უშედეგო იყო 4,4%-ში, ავადმყოფთა 8,8%-მა შეწყვიტა მკურნალობა (ცხრილი 4.20).


საქართველოში აივ ინფექცია/შიდსის შემთხვევების ეპიდზედამხედველობის ეროვნული გეგმა შემუშავდა გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „აივ ინფექცია/შიდსის ეროვნული პროგრამების განხორციელებისათვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული ბაზის შექმნა ქვეყანაში აივ ინფექცია/შიდსზე ეპიდზედამხედველობის სისტემის გაძლიერების გზით“ ფარგლებში.

ეროვნულ გეგმაზე მუშაობას წინ უსწრებდა 2007 წლამდე არსებული აივ ინფექცია/შიდსის ეპიდზედამხედველობის სისტემის საფუძვლიანი შეფასება და 2010 წლიდან ქვეყნის მასშტაბით ეპიდზედამხედველობის ახალი დიზაინის სისტემის დანერგვა. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის აივ ინფექცია/შიდსის განყოფილებაში შეიქმნა ელექტრონული ბაზა.


2009 წელს საქართველოში რეგისტრირებულია **აივ/შიდსის** 332 ახალი შემთხვევა (ინციდენტობა – 7,7), მათ შორის 4 შემთხვევა რეგისტრირებულია 0-15 წლამდე ასაკის ბავშვებში (ცხრილი 4.21, 4.23, სურათი 4.9).

აივ/შიდსის გადაცემის გზების მიხედვით, ახალი შემთხვევების 56,8% ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებზე, ხოლო 39,3% სქესობრივ კონტაქტებზე მოდის. საანგარიშო წელს რეგისტრირებულია ვერტიკალური (დედიდან შვილზე) გადაცემის 4 ახალი შემთხვევა (ცხრილი 4.22).

2009 წელს აივ-ინფექციაზე გამოკვლეულ იქნა 48123 ორსული.




2009 წელს აღრიცხულია **სიფილისის** 503 (ინციდენტობა - 11.4) და **გონორეული ინფექციის** 670 (ინციდენტობა - 15.2) ახალი შემთხვევა (ცხრილი 4.24, სურათი 4.10).



სიფილისზე გამოკვლეული 49908 ორსული ქალიდან სიფილისი აღმოაჩნდა 15 ქალს.

2009 წელს მომატებულია **ქლამიდიური ინფექციის**, სიფილისის და **ტრიქომონიაზის** ინციდენტობის მაჩვენებლები (ცხრილი 4.25, სურათი 4.11).




ქლამიდიური ინფექციის რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, 709 შემთხვევიდან (ინციდენტობა - 16,2) 1276 შემთხვევამდე (ინციდენტობა - 28,9) გაიზარდა. **ტრიქომონიაზის** ინციდენტობის მაჩვენებელი ქალებში თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე მამაკაცებში (ცხრილი 4.26).

2009 წელს საქართველოში მოიმატა **მიკოზების** ინციდენტობამ, ძირითადად **კანდიდოზების** რაოდენობის მატების ხარჯზე (ცხრილი 4.27). **აკარიაზის** ინციდენტობის მაჩვენებელი (41,5), 2008 წელთან შედარებით უმნიშვნელოდ დაკლებულია (ცხრილი 4.28).

2009 წელს საქართველოს **სტაციონარებში ინფექციური დაავადებების** დიაგნოზით აღირიცხა 16691 შემთხვევა (ცხრილი 4.10), მათ შორის 9399 ბავშვებში (ცხრილი 4.11). ბავშვთა პოსტიტალიზაციის შემთხვევათა 68,2% ნაწლავურ ინფექციებზე მოდის (ლეტალობა - 0,2%). 0-1 წლამდე ასაკის ბავშვებში მაღალია ლეტალობა (38,9%) სეპტიცემიის გამო. ინფექციური და პარაზიტული დაავადებების დიაგნოზით საავადმყოფოდან გასული ავადმყოფების 51,1% თბილისში მკურნალობდა (ცხრილი 4.12).

2008 წელთან შედარებით, 2009 წელს მოიმატა **სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების** პრევალენტობამ წლის ბოლოსთვის (6993,3-დან 7400,3-მდე) და ინციდენტობამ (1696,7-დან 2177,3-მდე) (ცხრილი 4.29, 4.30, სურათი 4.12).



წლის ბოლოს რეგისტრირებული 326421 ავადმყოფიდან 40% აღრიცხულია თბილისში, 16% იმერეთში, 9% კახეთში (ცხრილი 4.32).


რეგონების მიხედვით სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების პრევალენტობის მაღალი მაჩვენებლებია რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში (14616,4), თბილისში (11657,0), იმერეთში (7687,7), კახეთში (7630,6); ინციდენტობის მაღალი მაჩვენებლებია რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში (5096,4),

მცხეთა-მთიანეთში (4048,0), იმერეთში (3125,4) და კახეთში (3050,6) (ცხრილი 4.32).

წლის ბოლოს რეგისტრირებული შემთხვევებიდან 55,2% **ჰიპერტენზიული დაავადებების** შემთხვევებია, 26,8% - **გულის იშემიური დაავადებები**, 4,2% - **გულის რევმატიული დაზიანებები** (ცხრილი 4.30, 4.33). მთელ პოპულაციაში სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით აღრიცხულ დაავადებებში 51% **ჰიპერტენზიული დაავადებაა**, 24,0% - **გულის იშემიური დაავადებები**.

სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების ახალი შემთხვევების 40% და **ჰიპერტენზიული დაავადებების** ახალი შემთხვევების 48% სოფლის ექიმების მიერ იქნა აღრიცხული.

2009 წლის მონაცემებით, მოიმატა **ჰიპერტენზიული დაავადების** და **ცერებროვასკულური დაავადებების** პრევალენტობამ და ინციდენტობამ (სურათი 4.13, 4.14).





43%-ს (პრევალენტობა 273,1), ხოლო ახალი შემთხვევების 18,5%-ს (ინციდენტობა 33,3) შეადგენს (ცხრილი 4.31, 4.33).

გულის იშემიური დაავადებების ახალი შემთხვევების სტრუქტურაში 39,8% **სტენოკარდიის**, ხოლო 9% - **მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის** შემთხვევებზე მოდის (ცხრილი 4.35, სურათი 4.15).

სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების დიაგნოზით სტაციონარიდან გავიდა 42823 ავადმყოფი, მათ შორის გარდაიცვალა 2736, (ლეტალობა - 6,4%). ლეტალობის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა გურიაში (11,1%), სამცხე-ჯავახეთში (11%) და მცხეთა-მთიანეთში (9,6%), დაბალი - სამეგრელოსა და ზემო სვანეთში (2,2%) (ცხრილი 4.38).

სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების კლასში მაღალი ლეტალობა აღინიშნა ფილტვისმიერი გულის და სისხლის მიმოქცევის მცირე წრის დარღვევების (37,1%) და **ცერებროვასკულური დაავადებების** (17,9%) ჯგუფებში (ცხრილი 4.37).



საავადმყოფოდან გულის იშემიური დაავადებების დიაგნოზით გაწერილთა 35,8% **სტენოკარდიაზე**, ხოლო 28,8% - **მწვავე და განმეორებით ინფარქტზე** მოდის (ცხრილი 4.37).

მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის დიაგნოზით დაავადების დაწყების პირველ 24 საათში პოსპიტალიზებულ იქნა 2065 ავადმყოფი (36,8% მწვავე ინფარქტის დიაგნოზით პოსპიტალიზებულ ავადმყოფთა საერთო რაოდენობიდან). მიოკარდიუმის ინფარქტის დიაგნოზით სტაციონარში გარდაცვლილთა 47,6% (264 ავადმყოფი) სტაციონარში მიყვანიდან პირველ 24 საათში, ხოლო 16 ავადმყოფი - 30 დღის განმავლობაში გარდაიცვალა.


2009 წელს საქართველოში გაიზარდა **გულზე ჩატარებულ ოპერაციათა** რაოდენობა, როგორც მთლიან პოპულაციაში, ასევე ბავშვებში. სულ ჩატარდა 1373 ოპერაცია

გულის რევმატიული დაავადებების 19770 რეგისტრირებული შემთხვევიდან 12035 (60,9%) გულის ქრონიკული რევმატიული დაზიანებებია (ცხრილი 4.36). გულის მწვავე და ქრონიკული რევმატიული დაზიანებები ბავშვებში რეგისტრირებულ შემთხვევათა

გულზე (ლეტალობის მაჩვენებელი - 3,5%), მათ შორის 0-14 წლის ბავშვებში - 255 ოპერაცია (ლეტალობის მაჩვენებელი - 10,6%). ღია გულზე ჩატარდა 788 ოპერაცია (ლეტალობა - 5,2%), თანდაყოლილი მანკების გამო 162 ოპერაცია (ლეტალობა - 2,5%). გაკეთდა 112 კარდიოსტიმულატორის იმპლანტირება (ლეტალობა - 0,9%) და 187 ენდოვასკულური ბალონური დილატაცია (ლეტალობა - 0%). სისხლძარღვებზე ჩატარებულია 3957 ოპერაცია (ლეტალობა - 0,5%) (ცხრილი 4.39).

2009 წელს საქართველოში **სიმსივნეების** (კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი) დიაგნოზით რეგისტრირებული იყო 59000 ავადმყოფი (პრევალენტობის მაჩვენებელი - 1337,6), მათ შორის სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით 13001 (ინციდენტობის მაჩვენებელი - 294,7) (ცხრილი 4.40).

ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოზით წლის ბოლოს რეგისტრირებული იყო 30954 ავადმყოფი (პრევალენტობის მაჩვენებელი - 701,8), მათ შორის სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით აღრიცხულია 5656 ადამიანი (ინციდენტობა - 128,2) (სურათი 4.16).



ავთვისებიანი სიმსივნეებით პრევალენტობა წლის ბოლოს მაღალია შიდა ქართლში - 1252,1; კახეთში - 1070,0 და აჭარაში - 969,1. ინციდენტობის მაღალი მაჩვენებელი აღირიცხა რაჭა-ლეჩხუმში - 215,9, კახეთში - 156,8 და აჭარაში - 148,2 (ცხრილი 4.41).



საანგარიშო წლის ბოლოს აღრიცხვაზე მყოფი ავადმყოფიდან 36,6% სოფლის მაცხოვრებელია.

სიცოცხლეში პირველად დადგენილი ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოზით აღრიცხულ ავადმყოფთა რაოდენობის 52,4% ქალია, 47,6% - მამაკაცი (ცხრილი 4.42). ახალი შემთხვევების საერთო რიცხვიდან

დიაგნოზი მორფოლოგიურად დადასტურდა 3352 (59,2%) შემთხვევაში.

ქალთა პოპულაციაში სიცოცხლეში პირველად გამოვლენილი ავთვისებიანი სიმსივნეების სტრუქტურაში სარძევე ჯირკვლის სიმსივნეები 34,5%-ს (მათ შორის ფერტილური ასაკის ქალებში - 45,3%-ს), სასქესო ორგანოთა ავთვისებიანი სიმსივნეები 22,5%-ს (მათ შორის ფერტილური ასაკის ქალებში - 28,1%-ს) შეადგენდა (ცხრილი 4.41).


ქალებში ასაკთან ერთად მატულობს სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის სიმსივნეებით ავადობა და სარძევე ჯირკვლისთვის 60-74 წლის, ხოლო საშვილოსნოს ყელისთვის 60-64 წლის ასაკის ქალებში აღწევს მაქსიმუმს (სურათი 4.17, 4.18).



მამაკაცებში სიცოცხლეში პირველად დადგენილი სიმსივნეების ლოკალიზაციის მიხედვით მაღალი პროცენტით ხასიათდება სასუნთქ ორგანოთა - 31,7%, საჭმლის მომნელებელი სისტემის - 26,6% და სასქესო ორგანოთა - 10,8% სიმსივნეები (ცხრილი 4.43).


სასუნთქ ორგანოთა სიმსივნეებით ავადობა

მამაკაცებში მაქსიმუმს 70 – 74 წლის ასაკობრივ ჯგუფში აღწევს (სურათი 4.19).



2009 წელს ავთვისებიანი სიმსივნეების ახალი შემთხვევების 22,4%-ში დადგინდა დაავადების I და II, 23,9%-ში - III, ხოლო 48,0%-ში - IV სტადია (ცხრილი 4.44).

სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნის შემთხვევათა 7,1%-ში დადგინდა დაავადების I, 32,0%-ში - II, 29,3%-ში - III, ხოლო 28,5%-ში - IV სტადია (ცხრილი 4.45, სურათი 4.20).



საშვილოსნოს ყელის ავთვისებიანი სიმსივნის შემთხვევათა 10,7%-ში დადგინდა დაავადების I, 25,3%-ში - II, 29,5%-ში - III, ხოლო 30,6%-ში - IV სტადია (ცხრილი 4.46, სურათი 4.20).

სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოზის დადგენიდან პირველივე წელს გარდაცვლილ ქალთა რაოდენობის წილი საკმაოდ მაღალია (ცხრილი 4.47, 4.48).

1999-2009 წლებში საშვილოსნოს ყელის, საშვილოსნოს ტანის და სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნეების განაწილება რეგიონების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილებში 4.49, 4.50, 4.51, 4.52 და 4.53.

2008 წელს საქართველოში ჩატარებულმა რეპროდუქციული ასაკის ქაღალთა

სიკვდილიანობის კვლევაში შეისწავლა ავთვისებიანი სიმსივნით გარდაცვალების 402 შემთხვევა დიაგნოზის დასმის მომენტში სტადიის გამოვლენის კუთხით. ამ პაციენტთა შორის 294 (73,1%) დიაგნოსტირებულ იქნა გვიან სტადიაზე (III-IV სტადია ან უფრო გვიანი). მხოლოდ 65 (16,2%) ქალი იქნა დიაგნოსტირებული ადრეულ სტადიაზე (I-II სტადია ან უფრო ადრე). დიაგნოზის დასმის მომენტში ავთვისებიანი სიმსივნის სტადია 43 (10,7%) პაციენტისთვის არ იყო ცნობილი.

2009 წელს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ონკოლოგიური სამსახურის მიერ რეგისტრირებული იყო ავთვისებიანი სიმსივნეებით გარდაცვალების 4497 შემთხვევა. საანგარიშო წლის განმავლობაში გარდაცვლილთა 45,0%-ს დიაგნოზის დადგენიდან პირველივე წელს გარდაცვლილები შეადგენდნენ.

სამედიცინო დაწესებულებების მიერ აღრიცხულ გარდაცვლილთა საერთო რაოდენობიდან 24,7% გარდაიცვალა საჭმლის მომნელებელი სისტემის, 18,9% - სასუნთქ ორგანოთა, 14,0% - სარძევე ჯირკვლის, 12,1% - ქალის სასქესო ორგანოთა ავთვისებიანი სიმსივნით.

5656 ავადმყოფიდან, რომელთაც 2009 წელს სიცოცხლეში პირველად დაუდგინდათ დიაგნოზი, 35,8% გარდაიცვალა (ცხრილი 4.54).

2009 წელს აღრიცხვაზე ხუთი და მეტი წლის განმავლობაში იმყოფებოდა 13126 ავადმყოფი (42,4%). ეს მაჩვენებელი განსხვავდება სიმსივნეების ლოკალიზაციის მიხედვით. მინიმალურ პროცენტს (13,4%) არაზუსტად აღნიშნული, მეორადი და დაუზუსტებელი ლოკალიზაციის ავთვისებიანი სიმსივნეები შეადგენს (ცხრილი 4.55).


იმ ავადმყოფებიდან, რომლებიც სპეციალურ მკურნალობას ექვემდებარებიან (II კლინიკური ჯგუფი), მკურნალობა დაამთავრა 2130 პაციენტმა. მკურნალობისთვის გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდები: მხოლოდ ქირურგიული - 791, მხოლოდ სხივური - 212, მხოლოდ მედიკამენტები - 334 შემთხვევაში. კომბინირებული ან კომპლექსური მკურნალობა (ქიმიურ-სხივურის გარდა) ჩატარდა 710 შემთხვევაში (ცხრილი 4.56).

სიმსივნეების დიაგნოზით საქართველოს სტაციონარებში მკურნალობდა 14872 ავადმყოფი. სიმსივნეებით ლეტალობის მაჩვენებელია 2,3% (ცხრილი 4.57).

* რეპროდუქციული ასაკის ქაღალთა სიკვდილიანობის კვლევა (RAMOS)

- 14. ექიმთან მიმართვა (ENCOUNTER/Визит)** – ექიმთან პირადი კონტაქტი გასინჯვის, დიაგნოსტიკის, კონსულტაციის ან მეურნეობისათვის. კონტაქტების ადგილები და ტიპები: ექიმის კაბინეტები (ოფისები), ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებები, საავადმყოფოს მიმღები განყოფილებები (სასწრაფო დახმარების განყოფილება), სახლები/ბინები (ნებისმიერი ადგილი, სადაც იმყოფებოდა პაციენტი, რომელთანაც გამოიძახეს ექიმი), კლინიკები, ჯანმრთელობის შესანარჩუნებელი ნებისმიერი ორგანიზაცია, სტაციონარების გარდა.

მიმართვების რაოდენობა წელიწადში 1 სულ მოსახლეზე:

სულ მიმართვების რაოდენობა წელიწადში * 100000

მოსახლეობის რაოდენობა

15. **პირველადი მიმართვა (FIRST ENCOUNTER/Первый визит)** - ექიმთან სამედიცინო დახმარებისთვის პაციენტის პირველი მიმართვა.
16. **განმეორებითი მიმართვა (RECURRENT ENCOUNTER/Рекуррентный визит)** - მწვავე (მკურნალობის გასაგრძელებლად) ან ქრონიკული (აღრე გამოვლენილი და რეგისტრირებული) დაავადების გამო ექიმთან მიმართვა.
17. **შემთხვევის გამოვლენა (CASE DETECTION/Выявление случая)** - დაავადების დიაგნოსტიკა და აღრიცხვა.
18. **ინციდენტობა, პირველადი ავადობა (INCIDENCE/Инцидентность)** - ადამიანის სიცოცხლეში პირველად გამოვლენილი დაავადება, რომელიც ადრე არ იყო რეგისტრირებული (ყველა მწვავე დაავადება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი შეიძლება წელიწადში რამდენჯერმე განმეორდეს, ქრონიკული დაავადებები, რომლებიც შეიძლება შემთხვევით (მაგ. ექიმთან ვიზიტის დროს) პირველად გამოვლინდეს.

დაავადების ახლად დიაგნოსტირებული შემთხვევის რაოდენობა * 100000

მოსახლეობის რაოდენობა

19. **პრევალენტობა, საერთო ავადობა (PREVALENCE/Превалентность)** - წლის განმავლობაში რეგისტრირებული ყველა დაავადება (როგორც პირველადი, ასევე წინა წლებში გამოვლენილი ქრონიკული დაავადების შემთხვევები, რომელთა გამოც მოცემულ წელს პაციენტმა მიმართა ექიმს).

დაავადების ყველა დიაგნოსტირებული შემთხვევის რაოდენობა * 100000

მოსახლეობის რაოდენობა

20. **პრევალენტობა წლის ბოლოსთვის (PREVALENCE BY THE END OF THE YEAR/Превалентность на конец года)**

საანგარიშო წლის ბოლოს მეთვალყურეობაზე მყოფ ავადმყოფთა რაოდენობა * 100000

მოსახლეობის რაოდენობა

21. **საავადმყოფო (HOSPITAL/Больница)** - სტაციონარული სამკურნალო დაწესებულება, სადღეღამისო სამედიცინო და საექიმო დახმარების, ავადმყოფების და ტრავმირებულების დიაგნოსტიკის, მკურნალობის, რეაბილიტაციის საშუალებებით უზრუნველყოფით (როგორც წესი სამედიცინო და ქირურგიული მდგომარეობებისთვის), რომელიც დაკომპლექტებულია პროფესიულად მომზადებული ექიმი-პრაქტიკოსებით (ყველაზე მცირე ერთი ექიმით მაინც) საავადმყოფოს შეუძლია, თუმცა ვალდებული არ არის გაწიოს ამბულატორული მომსახურება.
- საავადმყოფოების საერთო რაოდენობაში შედის:** ზოგადი პროფილის საავადმყოფოები, სპეციალიზებული საავადმყოფოები, სასწრაფო სამედიცინო დახმარების საავადმყოფოები და საავადმყოფოები პაციენტების გრძელვადიანი დაყოვნებით.
- საავადმყოფოების საერთო რაოდენობაში არ შედის: ბალნეოლოგიური დაწესებულებები, სანატორიუმები, ფიზიკური და გონებრივი შეზღუდული შესაძლებლობების პირების მოვლის სახლები, ხანშიშესულთა მოვლის სახლები (ე.ი. ის დაწესებულებები, რომლებიც ძირითადად უზრუნველყოფენ მოვლას), დღის ცენტრები, დღის სტაციონარები.
- სტაციონარებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე:

სტაციონარების რაოდენობა * 100000

მოსახლეობის რაოდენობა

22. **საავადმყოფოს საწოლი (HOSPITAL BED/Больничная койка)** - საავადმყოფოს პალატაში განთავსებული საწოლი, რომელიც განკუთვნილია პაციენტის მიღებისთვის და მისი სადღეღამისო დახმარებისთვის, რომელსაც რეგულარულად ემსახურება მიმაგრებული პერსონალი და უზრუნველყოფილია უწყვეტი სამედიცინო დახმარება.
- საავადმყოფოში საწოლთა რაოდენობა ასახავს საავადმყოფოს ტევადობას და სიმძლავრეს. საწოლთა საერთო რაოდენობაში არ ითვლება ახალშობილთა და დღის არასტაციონარული დახმარების დაწესებულებების საწოლები.
- სტაციონარული საწოლებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი:

სტაციონარული საწოლების საერთო რაოდენობა * 100000

მოსახლეობის რაოდენობა

23. **ჰოსპიტალური ავადობა (HOSPITAL MORBIDITY/госпитальная заболеваемость)** – განისაზღვრება სტაციონარული მკურნალობისთვის ჰოსპიტალიზებულ ავადმყოფთა რაოდენობით. აღრიცხვის ერთეულია ჰოსპიტალიზაციის შემთხვევა.
24. **ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი (HOSPITALIZATION LEVEL/показатель госпитализации)**

$\frac{\text{ჰოსპიტალიზაციის ყველა შემთხვევის რაოდენობა} * 100000}{\text{მოსახლეობის რაოდენობა}}$

25. **საწოლზე დაყოვნების საშუალო ხანგრძლივობა (AVERAGE LENGTH OF STAY/средняя продолжительность пребывания на койке)**

$\frac{\text{გატარებული საწოლ-დღეების საერთო რაოდენობა}}{\text{ჰოსპიტალიზაციის ყველა შემთხვევის რაოდენობა}}$

26. **საწოლის ბრუნვის მაჩვენებელი (HOSPITAL BED ROTATION/оборачив койки)**

$\frac{\text{ჰოსპიტალიზაციის ყველა შემთხვევის რაოდენობა}}{\text{სტაციონარული საწოლების რაოდენობა}}$

27. **საწოლის დატვირთვის მაჩვენებელი (BED OCCUPANCY RATE/загрузка койки)**

$\frac{\text{გატარებული საწოლ-დღეების საერთო რაოდენობა}}{\text{სტაციონარული საწოლების რაოდენობა}}$

28. **ლეტალობის მაჩვენებელი (HOSPITAL CASE FATALITY/летальность)**

$\frac{\text{სიკვდილის შემთხვევები სტაციონარში} * 100}{\text{ჰოსპიტალიზაციის ყველა შემთხვევის რაოდენობა}}$

29. **ორსულობის ვადა (GESTATIONAL AGE/век беременности)** - ორსულობის ხანგრძლივობა იანგარიშება უკანასკნელი ნორმალური მენსტრუაციის პირველი დღიდან, რომელიც არის ნულოვანი დღე და არა პირველი დღე. ორსულობის ვადა გამოიხატება სრული დღეებით ან სრული კვირებით (ნორმალური ორსულობის ხანგრძლივობად მიჩნეულია 280-286 დღე, ანუ 40 კვირა).

ორსულობის ვადად ითვლება პერიოდი უკანასკნელი ნორმალური მენსტრუაციის პირველი დღიდან მშობიარობის დამთავრებამდე. უნდა ჩაითვალოს, რომ ეს პირველი დღე არის ნულოვანი დღე და არა ერთი დღე; აქედან გამომდინარე, იგულისხმება, რომ 0-6 დღეები შეესაბამება “ნულოვან კვირას” და მე-40 კვირა არის შესატყვისი “39 სრული კვირისა.” როდესაც უკანასკნელი მენსტრუაციის თარიღის დადგენა შეუძლებელია, მაშინ ორსულობის ვადის დადგენა ეფუძნება საუკეთესო კლინიკურ გამოკვლევებს. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ შეცდომები, უნდა აღირიცხოთ კვირებიც და დღეებიც.

ნაადრევი მშობიარობა (PRE-TERM/недоношенность)

37 სრულ კვირაზე ნაკლები (259 დღეზე ნაკლები) ორსულობის პერიოდი.

დროული მშობიარობა (TERM/доношенность)

37 სრული კვირიდან 42 სრულ კვირაზე ნაკლები (259-დან 293 დღემდე) ორსულობის პერიოდი.

ვადაგადაცილებული მშობიარობა (POST-TERM/переношенность)

42 სრული კვირა ან მეტი (294 დღე ან მეტი) ორსულობის პერიოდი.

30. **ცოცხლადშობადობა (LIVE BIRTH/живорождение)** - დედის ორგანიზმიდან ნაყოფის (ჩასახვის პროდუქტის) სრულად გამოდევნა ან ხელოვნურად გამოყვანა, როდესაც ნაყოფი სუნთქავს ან ავლენს სიცოცხლის სხვა რომელიმე ნიშანს, როგორცაა გულისცემა, ჭიპლარის პულსაცია ან ჩონჩხის კუნთების ცალკეული ჯგუფების შეკუმშვა სხეულის შესაბამისი ნაწილების მოძრაობით, მიუხედავად იმისა, რა ხანგრძლივობისაა ორსულობა, ჭიპლარი გადაკვეთილია თუ არა ან პლაცენტა მოცილებულია საშვილოსნოს კედელს თუ არა.

31. **დაბადების წონა (BIRTH WEIGHT/Масса тела при рождении)** - დაბადების შემდეგ გაზომილი ნაყოფის ან ახალშობილის პირველი წონა.

ცოცხლადშობილების დაბადების პირველი წონა უნდა გაიზომოს არა უგვიანეს სიცოცხლის პირველი საათისა, ვიდრე მოხდება პოსტნატალური მასის შესამწნევი დაკარგვა. ფაქტობრივი პირველი წონა უნდა ჩაიწეროს იმ სიზუსტით, რა სიზუსტითაც ის გაიზომა, რადგან სტატისტიკური ცხრილები შედგენილია 500 გრამიანი შუალედებით, ამიტომ წონის ზუსტი მაჩვენებელი შუალედში ვერ მოთავსდება.

“მცირე, “ძალიან მცირე” და “უკიდურესად მცირე” დაბადების პირველი წონის განმარტებები არ წარმოადგენს ურთიერთგამომრიცხავ რუბრიკებს (ე.ი. “მცირე” მოიცავს “ძალიან მცირეს” და “უკიდურესად მცირეს,” მაშინ როდესაც “ძალიან მცირე” მოიცავს “უკიდურესად მცირეს”).

მცირე წონის ახალშობილები

2500 გ-ზე ნაკლები (2500 გ-მდე და მოიცავს 2499 გ)

ძალიან მცირე წონის ახალშობილები

1500 გ-ზე ნაკლები (1500 გ-მდე და მოიცავს 1499 გ)

უკიდურესად მცირე წონის ახალშობილები

1000 გ-ზე ნაკლები (1000 გ-მდე და მოიცავს 999 გ)

- 32. შობადობის ზოგადი კოეფიციენტი (CRUDE BIRTH RATE) – Коэффициент рождаемости** – წარმოადგენს გარკვეულ დროში ცოცხალშობილთა საერთო რაოდენობის შეფარდებას იმავე პერიოდის მოსახლეობის საშუალო რაოდენობასთან. გამოისახება პრომილეთი (‰), უჩვენებს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობას მოსახლეობის 1000 სულზე.

$$\frac{\text{ცოცხალშობილთა რაოდენობა} \times 1000}{\text{მოსახლეობის რაოდენობა}}$$

- 33. შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი (AGE-SPECIFIC BIRTH RATE) – Возрастной коэффициент рождаемости** – წარმოადგენს მოცემული დროის პერიოდში (მაგ., წელი) გარკვეული ასაკის ქალების მიერ გაჩენილი ბავშვების საშუალო რაოდენობას.

$$\frac{\text{ქალთა X ასაკში დაბადებულ ბავშვთა საერთო რაოდენობა} \times 1000}{\text{იგივე X ასაკის ქალთა საერთო რაოდენობა}}$$

- 34. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი (TOTAL FERTILITY RATE) – Суммарный коэффициент рождаемости, Коэффициент суммарной рождаемости** – წარმოადგენს ერთი ქალის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე (პირობითად 15-49 წლის ასაკში) დაბადებულ ბავშვთა საშუალო რაოდენობას. ეს მაჩვენებელი გამოიანგარიშება შობადობის ერთწლიანი ასაკობრივი კოეფიციენტების ჯამის გაყოფით 1000-ზე (ე.ი. ერთ ქალზე გაანგარიშებით). იმ შემთხვევაში, როდესაც ხუთწლიანი ასაკობრივი ინტერვალებია მოცემული (მაგ; 20-24, 25-29 და ა.შ.) ასაკობრივი კოეფიციენტის ჯამი საჭიროა გავამრავლოთ ხუთზე და შემდეგ გავყოთ 1000-ზე (ერთ ქალზე გაანგარიშებისთვის). კოეფიციენტი წარმოადგენს შობადობის დონის განმსაზღვრელ საკმაოდ ზუსტ მაჩვენებელს.

$$\frac{\text{შობადობის ერთწლიანი ასაკობრივი კოეფიციენტების ჯამი}}{1000}$$

- 35. მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი (GROSS REPRODUCTION RATE) – Коэффициент воспроизводства населения** – თაობათა შენაცვლების მაჩვენებელი, რომელიც არ ითვალისწინებს სიკვდილიანობას. წარმოადგენს მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ერთ-ერთ მახასიათებელს და შობადობის კრესით დახასიათებას. კოეფიციენტი შეიძლება გაანგარიშებულ იქნას ცალ-ცალკე ორივე სქესის მოსახლეობისთვის, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში გამოითვლება ქალებისთვის. იმის გამო, რომ ის არ ითვალისწინებს ქალიშვილების სიკვდილიანობას მათ მიერ დედის ასაკის მიღწევამდე, ის არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც ქალიშვილების თაობის მიერ დედათა თაობის შენაცვლების რეალური მაჩვენებელი. კოეფიციენტი უჩვენებს ერთი ქალის მიერ თავისი ცხოვრების მანძილზე დაბადებული გოგონების საშუალო რაოდენობას (თუ ქალი იცოცხლებდა ფერტილური პერიოდის ბოლომდე და მისი სიცოცხლის მანძილზე ყოველ ასაკში შენარჩუნებულ იქნებოდა შობადობის არსებული დონე).

$$(\text{ცოცხალშობილთა შორის გოგონათა წილი}) \times (\text{შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი})$$

- 36. მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი (NET REPRODUCTION RATE) – Коэффициент воспроизводства населения** – მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის განმარტებული მახასიათებელი, რომელშიც გათვალისწინებულია შობადობა და სიკვდილიანობა. შეიძლება გამოთვლილ იქნას ცალ-ცალკე ორივე სქესისათვის, თუმცა როგორც წესი, გამოითვლება ქალების შემთხვევაში. იგი წარმოადგენს ქალიშვილების თაობის მიერ დედათა თაობის შენაცვლების რაოდენობრივ მაჩვენებელს და უჩვენებს ერთი ქალის მიერ თავისი ცხოვრების მანძილზე დაბადებული გოგონების საშუალო რაოდენობას, რომლებიც იცოცხლებენ იმ ასაკამდე, რომელშიც დედა იყო თითოეული ამ გოგონას გაჩენისას.

(ცოცხალშობილთა შორის გოგონათა წილი) *
(შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი) * (ცოცხლად დარჩენილ ქალთა რაოდენობა)

37. **სქესთა მეორეული რაოდენობრივი თანაფარდობა (NUMERICAL SECONDARY RATIO OF SEXES - соотношение численности полов)** – წარმოადგენს ბიჭებისა და გოგონების რაოდენობათა თანაფარდობას ცოცხლად დაბადებულთა შორის. სქესთა მეორეული რაოდენობრივი თანაფარდობა შეადგენს 105-106 ბიჭს 100 გოგონაზე, ანუ 51,2% ბიჭების სასარგებლოდ. ეს თანაფარდობა განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, მაგრამ იშვიათად აღემატება 107-ს და ასევე იშვიათად არის 104-ზე ნაკლები.
38. **სიკვდილი (DEATH/Смерть)** – ცხოვრების ნებისმიერ პერიოდში (დაბადების მომენტიდან) სიცოცხლის ყველა ნიშნის შეუქცევადი გაქრობა (ყველა სასიცოცხლო ფუნქციის შეწყვეტა, რომელიც გამორიცხავს რეანიმაციის შესაძლებლობას).
39. **სიკვდილის მიზეზი (CAUSE OF DEATH/Причина смерти)** - ყველა ავადმყოფობა, პათოლოგიური მდგომარეობა ან დაზიანება, რომელმაც გამოიწვია სიკვდილი ან ხელი შეუწყო მას, აგრეთვე უბედური შემთხვევა ან ძალადობის აქტი, რომელიც იწვევს ნებისმიერ ასეთ დაზიანებას. ეს განსაზღვრება ფორმულირდება სიკვდილთან დაკავშირებული ინფორმაციის რეგისტრაციის მიზნით, რათა სიკვდილის შესახებ ცნობის შემდგომში პირმა არ ამოირჩიოს ერთი მდგომარეობა და არ უარყოს სხვები. ეს განსაზღვრება არ ითვალისწინებს სიკვდილის ცნობაში იმ სიმპტომებისა და მოვლენების შეტანას, რომელიც თან ახლავს სიკვდილს, როგორცაა გულის ან სუნთქვის უკმარისობა.
40. **სიკვდილის პირველადი მიზეზი (UNDERLYING CAUSE OF DEATH/Первоначальная причина смерти)** - განისაზღვრება, როგორც „(ა) ავადმყოფობა ან დაზიანება, რომელიც იწვევს ავადმყოფობის პროცესის ჯაჭვს, რაც უშუალოდ მიგვიყვანს სიკვდილამდე ან (ბ) უბედური შემთხვევის ან ძალადობის გარემოებები, რაც იწვევს სასიკვდილო დაზიანებას“.
41. **სიკვდილიანობის ზოგადი კოეფიციენტი (CRUDE DEATH RATE/Общий коэффициент смертности)** - წარმოადგენს მოკვდავობის ყველაზე გავრცელებულ მაჩვენებელს. უწვენებს გარდაცვლილთა რაოდენობას მოსახლეობის 1000 სულზე.

$$\frac{\text{გარდაცვლილთა საერთო რაოდენობა} * 1000}{\text{მოსახლეობის საშუალო რაოდენობა}}$$

42. **სიკვდილიანობის კოეფიციენტი სიკვდილის მიზეზის მიხედვით (DEATH RATE BY CAUSE OF DEATH, Коэффициент смертности по причинам смерти)** – გამოითვლება სიკვდილის მიზეზთა გარკვეული კლასებისთვის ასაკთა ჯგუფების მიხედვით. სიკვდილიანობაში სიკვდილის ცალკეული მიზეზის მნიშვნელობის შეფასება შესაძლებლობას იძლევა გააკეთდეს დასკვნა იმის თაობაზე, თუ სიკვდილიანობის დონის შემცირებისთვის რომელი დაავადებების წინააღმდეგ უნდა იქნას მიმართული ძირითადი ძალისხმევა, განისაზღვროს ამა თუ იმ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში ღონისძიებათა ეფექტიანობა.

$$\frac{\text{გარდაცვლილთა რაოდენობა სიკვდილის მიზეზის მიხედვით} * 100000}{\text{მოსახლეობის რაოდენობა}}$$

43. **სიკვდილიანობის ასაკობრივი კოეფიციენტი (AGE-SPECIFIC DEATH RATE/Возрастной коэффициент смертности)** – მოკვდავობის დონე ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების (ერთწლიანი, 5 წლიანი და სხვა) მიხედვით. განისაზღვრება როგორც გარკვეულ დროში (ჩვეულებრივ 1 ან 2 წელი) მოცემულ ასაკობრივ ჯგუფში გარდაცვლილთა აბსოლუტური რაოდენობის შეფარდება ამ ასაკობრივ ჯგუფის საშუალო რაოდენობასთან.

$$\frac{\text{გარდაცვლილთა რაოდენობა მოცემულ ასაკობრივ ჯგუფში} * 1000}{\text{მოცემული ასაკობრივი ჯგუფის საშუალო რაოდენობა}}$$

44. **ჩვილთა სიკვდილიანობის კოეფიციენტი (INFANT MORTALITY RATE/Коэффициент младенческой смертности)** – მაჩვენებელი, რომელიც ზომავს დაბადებიდან ერთ წლამდე ბავშვების მოკვდავობის დონეს. გაანგარიშებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ჩვილთა მოკვდავობის დონე მნიშვნელოვნად მაღალია შემდგომი ასაკობრივი ჯგუფების მოკვდავობის დონესთან შედარებით (ხანდაზმული მოხუცებულობის ასაკის გარდა). მოკვდავობის სხვა კოეფიციენტებისაგან განსხვავებით, მოცემულ შემთხვევაში, გარდაცვლილთა რაოდენობა შეეფარდება ცოცხალშობილთა რაოდენობას და არა მოსახლეობას, გამოისახება პრომილეითი (‰) და უწვენებს ერთ წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობას ყოველ 1000 ცოცხალშობილზე.

1 წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობა * 1000

ცოცხალშობილთა რაოდენობა

45. **5 წლამდე ბავშვების მოკვდავობის კოეფიციენტი (MORTALITY UNDER AGE 5 - коэффициент смертности детей до 5-летнего возраста)** – მაჩვენებელი, რომელიც ზომავს დაბადებიდან 5 წლამდე (0-4 წელი) ასაკის ბავშვების მოკვდავობის დონეს. გაიანგარიშება როგორც რომელიმე პერიოდში (მაგ., წელი) 5 წლამდე ასაკის გარდაცვლილი ბავშვების რაოდენობის შეფარდება იმავე პერიოდში ცოცხალშობილთა რაოდენობასთან. გამოისახება პრომილეთი (‰) და უჩვენებს დაბადებიდან 5 წლამდე პერიოდში სიკვდილის ალბათობას.

5 წლამდე ასაკში გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობა * 1000

ცოცხალშობილთა რაოდენობა

46. **ნეონატალური პერიოდი (NEONATAL PERIOD - перинатальный период)** - ნეონატალური პერიოდი იწყება დაბადებიდან და გრძელდება მშობიარობიდან 28-ე სრული დღის დადგომამდე. ნეონატალური პერიოდი (დაბადებიდან 28-ე სრული დღის დადგომამდე) შეიძლება დაიყოს ადრეულ (დაბადებიდან 7 დღემდე) და გვიან (7 დან 28-ე სრულ დღემდე) ნეონატალურ პერიოდებად.
47. **ნეონატალური სიკვდილიანობის კოეფიციენტი (NEONATAL MORTALITY RATE - коэффициент неонатальной смертности)** – უჩვენებს დაბადებიდან სიცოცხლის 28 დღემდე (0-27 დღე) გარდაცვლილ ჩვილთა რაოდენობას ყოველ 1000 ცოცხალშობილზე.

სიცოცხლის პირველ 27 დღეს გარდაცვლილ ჩვილთა რაოდენობა * 1000

ცოცხალშობილთა რაოდენობა

48. **ადრეული ნეონატალური სიკვდილიანობის კოეფიციენტი (EARLY NEONATAL MORTALITY RATE - коэффициент ранней неонатальной смертности)**

ადრეულ ნეონატალურ პერიოდში გარდაცვლილ ჩვილთა რაოდენობა * 1000

ცოცხალშობილთა რაოდენობა

49. **ადრეული ნეონატალური სიკვდილიანობის კოეფიციენტი სხეულის მასის გათვალისწინებით (EARLY NEONATAL MORTALITY RATE, WEIGHT-SPECIFIC - коэффициент ранней неонатальной смертности с учетом массы тела)**

ადრეულ ნეონატალურ პერიოდში გარდაცვლილ ჩვილთა რაოდენობა (1000 გ მასის და მეტი) * 1000

1000 გ და მეტი მასის ცოცხალშობილთა რაოდენობა

50. **მკვდრადშობადობა (მკვდრადშობილი ნაყოფი) (STILLBIRTH (DEADBORN FETUS) - мертворождение (мертворожденный плод))** - ორსულობის ვადის მიუხედავად ნაყოფის სიკვდილი დედის ორგანიზმიდან სრულ გამოსვლამდე ან გამოყოფამდე. გამოსვლის შემდეგ მკვდრად დაბადებულის კრიტერიუმებია სუნთქვის ან სიცოცხლის სხვა ნიშნების (გულისცემა, ჭიპლარის პულსაცია ან კუნთების შეკუმშვა) არარსებობა.

51. **მკვდრადშობადობის კოეფიციენტი (STILLBIRTH RATE - коэффициент мертворождаемости)** – უჩვენებს მკვდრადშობილი ბავშვების რაოდენობას ყოველ 1000 დაბადებულზე.

მკვდრადშობილი ბავშვების რაოდენობა * 1000

დაბადებულ (მკვდრად + ცოცხლად) ბავშვთა რაოდენობა

52. **მკვდრადშობადობის კოეფიციენტი სხეულის მასის გათვალისწინებით (STILLBIRTH RATE, WEIGHT-SPECIFIC, коэффициент мертворождаемости с учетом массы тела)**

1000 გ და მეტი მასის მკვდრადშობილთა რაოდენობა * 1000

1000 გ და მეტი მასის დაბადებულთა საერთო რაოდენობა

53. **პერინატალური პერიოდი (PERINATAL PERIOD - перинатальный период)** - პერინატალური პერიოდი იწყება ორსულობის 22 კვირის (154 დღე) ვადიდან (ნაყოფის წონა ჩვეულებრივ 500 გ-ს უტოლდება) და მთავრდება მშობიარობიდან მე-7 სრულ დღეზე.

54. პერინატალური სიკვდილიანობის კოეფიციენტი (PERINATAL MORTALITY RATE) – коэффициент перинатальной смертности)

$$\frac{(\text{მკვდრადშობილთა რაოდენობა} + 0-6 \text{ დღეს გარდაცვლილ ჩვილთა რაოდენობა}) * 1000}{\text{დაბადებულთა (მკვდრად} + \text{ცოცხლად) რაოდენობა}}$$

55. პოსტნეონატალური სიკვდილიანობის კოეფიციენტი (POSTNEONATAL MORTALITY RATE) – коэффициент постнеонатальной смертности) – უჩვენებს სიცოცხლის 27 დღის შემდეგ ერთი წლის ასაკამდე გარდაცვლილ ჩვილთა რაოდენობას.

$$\frac{\text{სიცოცხლის 28-ე დღიდან 1 წლამდე ასაკის გარდაცვლილ ჩვილთა რაოდენობა} * 1000}{\text{ცოცხალშობილთა რაოდენობა}}$$

56. მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი (NATURAL INCREASE RATE) – коэффициент естественного прироста населения) – წარმოადგენს შობადობისა და სიკვდილიანობის ზოგადი კოეფიციენტების სხვაობას. გამოისახება პრომილეთი (‰) და აჩვენებს, თუ რამდენია ბუნებრივი მატება მოსახლეობის 1000 სულზე.

ა) შობადობის ზოგადი კოეფიციენტი – სიკვდილიანობის ზოგადი კოეფიციენტი

$$\text{ბ) } \frac{(\text{ცოცხალშობილთა რაოდენობა} - \text{გარდაცვლილთა რაოდენობა}) * 1000}{\text{მოსახლეობის რაოდენობა}}$$

57. დედის სიკვდილი (MATERNAL DEATH) – материнская смерть) - ორსულობის პერიოდში ან მისი დამთავრებიდან 42 დღის განმავლობაში (ორსულობის ხანგრძლივობისა და ლოკალიზაციის მიუხედავად), ორსულობასთან დაკავშირებული რომელიმე მიზეზით განპირობებული სიკვდილი, რომელიც მოხდა მათ შორის სამკურნალო ზემოქმედებით ან რომელიმე პათოლოგიით, რომელიც დამძიმდა ორსულობის, მშობიარობის ან ლოგინობის პერიოდში, მაგრამ არა უბედური შემთხვევით ან შემთხვევითი მიზეზით.

58. დედის მოგვიანებითი სიკვდილი (LATE MATERNAL DEATH) – поздняя материнская смерть) - ორსულობის დასასრულიდან 42 დღის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს ერთი წლისა, ქალის სიკვდილი პირდაპირი ან არაპირდაპირი სამედიცინო მიზეზებით.

59. ორსულობასთან დაკავშირებული სიკვდილი (PREGNANCY-RELATED DEATH) – смерть, связанная с беременностью) - ორსულობის ან მისი დასასრულიდან 42 დღის განმავლობაში, სიკვდილის გამოწვევი მიზეზებისაგან დამოუკიდებელი ქალის სიკვდილი.

პირდაპირი სამედიცინო სიკვდილი: პირდაპირი სამედიცინო სიკვდილი არის ორსულობის სტატუსის (ორსულობა, მშობიარობა და მშობიარობის შემდგომი პერიოდი) სამედიცინო გართულების შედეგი, რომელიც გამოწვეულია არასწორი მკურნალობით ან მოვლენათა ისეთი ჯაჭვით, რომელსაც მიუყვანართ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შედეგამდე.

არაპირდაპირი სამედიცინო სიკვდილი: არაპირდაპირი სამედიცინო სიკვდილი არის მანამდე არსებული ან ორსულობის პერიოდში განვითარებული ავადმყოფობის შედეგი, რომელიც არ არის დაკავშირებული უშუალოდ სამედიცინო მიზეზებთან, მაგრამ დამძიმდა ორსულობით.

60. დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი (MATERNAL MORTALITY RATE) – показатель материнской смертности) - დედათა სიკვდილიანობის დონის გამომხატველი მაჩვენებელი. უჩვენებს, თუ რამდენი დედა გარდაიცვალა 100000 ფერტილური ასაკის ქალზე.

$$\frac{\text{დედის სიკვდილის შემთხვევათა რაოდენობა}}{(\text{პირდაპირი და არაპირდაპირი მიზეზებით}) * 100000}$$

ფერტილური ასაკის ქალთა რაოდენობა

61. დედათა სიკვდილიანობის კოეფიციენტი (MATERNAL MORTALITY RATE) – коэффициент материнской смертности) – დედათა სიკვდილიანობის დონის გამომხატველი მაჩვენებელი. უჩვენებს, თუ რამდენი დედა გარდაიცვალა 100000 ცოცხალშობილზე.

$$\frac{\text{დედის სიკვდილის შემთხვევათა რაოდენობა}}{(\text{პირდაპირი და არაპირდაპირი მიზეზებით}) * 100000}$$

ცოცხალშობილთა რაოდენობა

62. პირდაპირი სამედიცინო მიზეზებით გამოწვეული დედის სიკვდილიანობის კოეფიციენტი (DIRECT OBSTETRIC MORTALITY RATE) – коэффициент материнской смертности от прямых акушерских причин)

მხოლოდ პირდაპირი სამეანო მიზეზებით გამოწვეული დედის სიკვდილის
შემთხვევათა რაოდენობა * 100000

ცოცხალშობილთა რაოდენობა

63. **ორსულობასთან დაკავშირებული მიზეზებით გამოწვეული დედის სიკვდილიანობის კოეფიციენტი (PREGNANCY-RELATED MORTALITY COEFFICIENT)** **коэффициент материнской смертности от причин, связанных с беременностью)**

ორსულობასთან დაკავშირებული მიზეზებით გამოწვეული დედის სიკვდილის
შემთხვევათა რაოდენობა * 100000

ცოცხალშობილთა რაოდენობა

64. **სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა (ESTIMATED LIFE EXPECTANCY)** **Ожидаемая продолжительность жизни** – სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაში იგულისხმება გარკვეული ასაკის მოსახლეობის დარჩენილი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა (წლებში). მოცემული მაჩვენებლის გაანგარიშება ხდება სიკვდილიანობის ასაკობრივი მაჩვენებლების საფუძველზე მოცემული მომენტისათვის ე.წ. სიკვდილიანობის ტაბულის (დარჩენილი სიცოცხლე) რეალური ან ჰიპოთეტური თაობისთვის. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა შეიძლება განისაზღვროს რასობრივი კუთვნილების, სქესის და სხვა პარამეტრებით, რომელიც გამოიყენება სიკვდილიანობის მაჩვენებლის გამოსაანგარიშებლად მოსახლეობის მოცემული ჯგუფისთვის. დარჩენილი სიცოცხლის ტაბულები ჰიპოთეტური თაობისათვის, რომელიც გამოიყენება დემოგრაფიაში, იწოდება აგრეთვე დარჩენილი სიცოცხლის მიმდინარე ტაბულებად. ანსხვავებენ დარჩენილი სიცოცხლის სრულ ცხრილებს, რომლებშიც მაჩვენებლების მნიშვნელობები მოყვანილია ასაკის ყოველი წლისათვის, და მოკლე ცხრილებს, რომლებშიც ამ მაჩვენებლების მნიშვნელობები მოყვანილია ჩვეულებისამებრ ხუთი და ათწლიანი ასაკობრივი ინტერვალით.
65. **ჯანმრთელი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა (HEALTH ADJUSTED LIFE EXPECTANCY - HALE, Ожидаемая продолжительность здоровой жизни)** - მოსახლეობის ჯანმრთელობის ჯამური ინდიკატორი (ასაკობრივ და სქესობრივ ჭრილში), რომელიც ასახავს ჯანმრთელი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ექვივალენტს წლებში და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას და სიკვდილიანობის საშუალო მონაცემებს ეფუძნება.
66. **ინვალიდობის შედეგად დაკარგული წლები (DISABILITY-ADJUSTED LIFE YEARS - DALYs, жизни, скорректированные по нетрудоспособности)** - მოსახლეობის დონეზე ნაადრევი სიკვდილის მიზეზით და კონკრეტული დაავადების შედეგად დაინვალიდების გამო დაკარგული სიცოცხლის წლების საერთო რაოდენობა. ეფუძნება ინფორმაციას სიკვდილის გამომწვევი მიზეზების შესახებ და ჯანმრთელობის ძირითადი პრობლემების ეპიდემიოლოგიურ შეფასებებს.
67. **ხარისხიანი ცხოვრების წლები (QUALITY ADJUSTED LIFE YEAR (QALY), жизни, скорректированные по качеству здоровья)** - ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ცხოვრების ხარისხის მაჩვენებელი. გამოიყენება სამედიცინო ჩარევებზე დანახარჯების შესაფასებლად.
68. **რეპროდუქციული ჯანმრთელობა (REPRODUCTIVE HEALTH, репродуктивное здоровье)** – სრული ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობა, რომელიც დაკავშირებულია რეპროდუქციულ სისტემასთან, მის ფუნქციებსა და პროცესებთან. იგი გულისხმობს, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს გამრავლების უნარი და თავისუფალი არჩევანის უფლება – როდის და რა სიხშირით გამოიყენოს ეს უნარი. ეს უკანასკნელი მოიცავს ქალებისა და მამაკაცების უფლებას, ჰქონდეთ ინფორმაცია და ხელი მიუწვდებოდეთ ოჯახის დაგეგმვის უსაფრთხო, ეფექტურ, მოსახერხებელ და მისაღებ მეთოდებზე მათი არჩევანის შესაბამისად, ისევე როგორც შობადობის რეგულირების სხვა არაკანონსაწინააღმდეგო მეთოდებზე და ჯანდაცვის სათანადო სამსახურებზე, რომლებიც ქალებს მისცემს უსაფრთხო ორსულობის და მშობიარობის საშუალებას, წყვილებს კი, საუკეთესო შესაძლებლობას, ჰყავდეთ ჯანმრთელი შვილი.
69. **ძუძუთი კვება (BREASTFEEDING, грудное вскармливание)** - ჩვილის გამოკვება დედის ან დონორის რძით (სარძევე ჯირკვლის მოწოვით ან გამოწველით).
70. **ექსკლუზიური ძუძუთი კვება (EXCLUSIVE BREASTFEEDING, эксклюзивное грудное вскармливание)** - ჩვილის გამოკვება მხოლოდ დედის ან დონორის რძით. ჩვილი არ უნდა იღებდეს სხვა რომელიმე თხიერ ან მყარ ნივთიერებებს, გარდა ვიტამინების, მინერალური დანამატებისა ან წამლების შემცველი წვეთებისა.
71. **უპირატესად ძუძუთი კვება (PREDOMINANT BREASTFEEDING, преимущественно грудное вскармливание)** - ჩვილის გამოკვება უპირატესად დედის ან დონორის რძით. შესაძლებელია წყლის

ან წელისშემცველი სითხეების, ხილის წვენების და ვიტამინების, მინერალური დანამატებისა ან წამლების შემცველი სითხეების და წვეთების მიღება.

72. **დამატებითი კვება (COMPLEMENTARY FEEDING)** - დედის რძესთან ერთად წვილის დამატებითი კვება.

73. **კონტრაცეფციის გამოყენების მაჩვენებელი (CONTRACEPTIVE PREVALENCE RATE)** - **Коэффициент использования контрацепции**

15-49 წლის ასაკის ქალთა რაოდენობა, რომელიც იყენებს კონტრაცეფციის ნებისმიერ (თანამედროვე ან ტრადიციულ) მეთოდს * 100000

ფერტილური ასაკის ქალების რაოდენობა

74. **დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა კონტრაცეფციაზე (UNMET NEED FOR CONTRACEPTION, Неудовлетворенный спрос на контрацепцию)**

რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ქალების რაოდენობა, რომელთაც ოჯახის დაგეგმვისათვის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება გააჩნიათ * 100

რეპროდუქციული ასაკის (15-49 წლის) ქალთა რაოდენობა, რომლებიც იმყოფებიან რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ ქორწინებაში

75. **მოზარდთა ორსულობის მაჩვენებელი (ADOLESCENT PREGNANCY RATE)** - **Зател подростковой беременности**

15-19 წლის ასაკის ქალების მიერ დაბადებულ ცოცხალშობილთა რაოდენობა + იმავე ასაკის ქალთა მიერ გაკეთებული აბორტების რაოდენობა * 1000

15-19 წლის ასაკის ქალთა რაოდენობა

76. **აბორტი (ABORTION)** - **Аборт** - მუცლის მოწყვეტა, მოშლა, ორსულობის ნაადრევი შეწყვეტა და საშვილოსნოდან ნაყოფის გამოძევება ორსულობის 22 კვირის შესრულებამდე. აბორტი შეიძლება იყოს სპონტანური და ხელოვნური. **სპონტანური აბორტი** - ვითარდება ქალის ორგანიზმზე ან ნაყოფზე უშუალო ზემოქმედების გარეშე. მისი გამოწვევა მიზეზებია ქალისა და ნაყოფის ფიზიკური და ფსიქიკური ტრავმები. **ხელოვნური აბორტი** - გამოწვეულია ქალის ორგანიზმზე ან ნაყოფზე უშუალო ზემოქმედებით (წამლების მიღება, საშვილოსნოში ინსტრუმენტული ჩარევა ან რაიმე ნივთიერების შეყვანა). ხელოვნური აბორტი უარყოფითად მოქმედებს ქალის ჯანმრთელობაზე, იწვევს უნაყოფობას. განსაკუთრებით მავნეა აბორტი პირველი ორსულობის დროს.

77. **აბორტის ზოგადი კოეფიციენტი (CRUDE ABORTION RATE)** - **Средний коэффициент абортов** - წარმოადგენს წლის განმავლობაში გაკეთებული აბორტების რაოდენობის შეფარდებას ფერტილური ასაკის (15-49 წ.) ქალების რაოდენობასთან. გამოისახება პრომილეითი (%), 1000 ქალზე გაანგარიშებით.

78. **აბორტის სიხშირის კოეფიციენტი (ABORTION FREQUENCY RATE)** - **Коэффициент частоты абортов** - წარმოადგენს წლის განმავლობაში გაკეთებული აბორტების რაოდენობის შეფარდებას იმავე პერიოდში მშობიარობათა რაოდენობასთან. გვიჩვენებს აბორტების რაოდენობას ყოველ 100 მშობიარობაზე.

79. **აბორტის ასაკობრივი კოეფიციენტი (AGE-SPECIFIC ABORTION RATE)** - **Возрастной коэффициент абортов** - წარმოადგენს წლის განმავლობაში გარკვეული ასაკობრივი ჯგუფის ქალებისთვის აბორტების რაოდენობის შეფარდებას იმავე ასაკობრივი ჯგუფის ქალების საერთო რაოდენობასთან.

80. **აბორტის ჯამობრივი კოეფიციენტი (TOTAL INDUCED ABORTION RATE)** - **Общий коэффициент абортов** - ხელოვნური აბორტების ჯამური მაჩვენებელი ასახავს, საშუალოდ რა რაოდენობის აბორტს გაიკეთებდა ქალი ცხოვრების მანძილზე, იმ პირობით, რომ მთელი პერიოდის განმავლობაში აბორტის ასაკობრივი კოეფიციენტის დონეები გამოანგარიშების დროისათვის უცვლელი დარჩებოდა. გამოითვლება აბორტების ასაკობრივი მაჩვენებლების შეჯამებით.

81. **ჩატარებული ოპერაციების მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე (SURGICAL ACTIVITY RATE PER 100000 POPULATION)** - **Показатель хирургической активности на 100000 населения**

ჩატარებული ქირურგიული ოპერაციების რაოდენობა * 100000

მოსახლეობის რაოდენობა

82. **საკეისრო კვეთების მაჩვენებელი (პროცენტი) მშობიარობების საერთო რაოდენობიდან (PERCENT OF CESAREAN SECTIONS FROM ALL DELIVERIES)** - **Процент кесаревых сечений из общего числа родов**

საკეისრო კვეთების რაოდენობა * 100

83. საკეისრო კვეთების მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე (CESAREAN SECTIONS RATE PER 1000 LIVE BIRTHS)
Показатель кесаревых сечений на 1000 живорожденных)

საკეისრო კვეთების რაოდენობა * 1000

ცოცხალშობილთა საერთო რაოდენობა

84. სავალდებულო წესით რეგისტრირებული დაავადება (OBLIGATORY REGISTRATION DISEASE)
подлежащее обязательной регистрации) – დაავადება, სოციალურად საშიში თავისი სიმძიმის, გავრცელების ან დაავადების გადაცემის მაღალი ხარისხის გამო, რომლის გამოვლენის ყოველი შემთხვევის შესახებ სამედიცინო მუშაკები ვალდებული არიან აცნობონ ჯანდაცვის მართვის ადგილობრივ ან ცენტრალურ ორგანოებს.
85. აივ ინფექციის ინციდენტობა (HIV INCIDENCE)
Показатель новых случаев ВИЧ инфицирования)

აივ ინფექციის ახალ შემთხვევათა რაოდენობა * 100000

მოსახლეობის რაოდენობა

86. გადაცემის გზების მიხედვით აივ ინფექციის ახალი შემთხვევების პროცენტული განაწილება (HIV NEW CASES DISTRIBUTION BY WAYS OF TRANSMISSION)
Процентное распределение новых случаев ВИЧ по путям передачи)

გადაცემის კონკრეტული გზის მიხედვით აივ ინფექციის ახალ შემთხვევათა რაოდენობა * 100

აივ ინფექციის ახალ შემთხვევათა რაოდენობა

87. შიდსის ინციდენტობა (AIDS INCIDENCE)
Заболеваемость СПИДом, новые случаи)

შიდსის ახალი შემთხვევების რაოდენობა * 100000

მოსახლეობის რაოდენობა

88. ორსულთა აივ ინფექციაზე ტესტირებით მოცვის მაჩვენებელი (HIV TESTING COVERAGE RATE AMONG PREGNANT WOMEN)
Квот беременных ВИЧ тестированием)

აივ ინფექციაზე ტესტირებულ ორსულთა რაოდენობა * 100

აღრიცხვაზე აყვანილ ორსულთა რაოდენობა

89. აივ ინფექციით დაავადებულ ორსულთა პროცენტი აივ ინფექციაზე გამოკვლეულ ორსულებში (PERCENTAGE OF HIV POSITIVE PREGNANT WOMEN AMONG HIV TESTED PREGNANT WOMEN)
инфицированных беременных среди ВИЧ тестированных беременных)

აივ ინფექციის შემთხვევათა რაოდენობა ორსულებში * 100

აივ ინფექციაზე გამოკვლეულ ორსულთა რაოდენობა

90. აივ ინფიცირებული ორსულების ანტირეტროვირუსული პროფილაქტიკური მეურნალობით მოცვის მაჩვენებელი (ANTIRETROVIRAL PREVENTION THERAPY COVERAGE AMONG HIV-INFECTED PREGNANT WOMEN)
АРВ профилактическим лечением ВИЧ инфицированных беременных)

აივ ინფიცირებული ორსული ქალების რაოდენობა, რომლებსაც განვლილი 1 წლის

განმავლობაში ჩაუტარდათ პროფილაქტიკური არე მეურნალობა * 100

ამავე წლის მანძილზე გამოვლენილი აივ ინფიცირებული ორსული ქალების რაოდენობა (მშობიარობის დროს გამოვლენილი ორსული ქალების ჩათვლით)

91. აივ ინფიცირებული დედებისაგან დაბადებული აივ ინფიცირებულ ბავშვთა პროცენტი (PERCENTAGE OF HIV POSITIVE CHILDREN, BORN BY HIV INFECTED MOTHERS)
ВИЧ инфицированных детей, рожденных ВИЧ инфицированными матерями)

$T * (1 - E) + (1 - T) * V$

სადაც:

T = ანტირეტროვირუსული მეურნალობით მოცული აივ ინფიცირებული ორსული ქალების პროცენტი;

V = მეურნალობის გარეშე დედიდან შვილზე აივ ინფექციის გადაცემის მაჩვენებელი;

E = ჩატარებული მეურნალობის ეფექტურობა.

V და E შეიძლება შეთანხმებით გამოყენებული იქნას მნიშვნელობები, შესაბამისად, 25% და 50%.

92. აივ ინფექციით დაავადებულ დონორთა პროცენტი აივ ინფექციაზე გამოკვლეულ დონორებში (PERCENT OF HIV INFECTED DONORS) (Процент ВИЧ инфицированных доноров из общего числа доноров)
- $$\frac{\text{აივ ინფექციით დაავადებულ დონორთა რაოდენობა} * 100000}{\text{აივ ინფექციაზე გამოკვლეულ დონორთა რაოდენობა}}$$
93. აივ ინფექციით დაავადებულთა პროცენტი ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში (PERCENT OF HIV INFECTED AMONG TB INFECTED PATIENTS) (Процент случаев ВИЧ среди больных туберкулезом)
- $$\frac{\text{აივ ინფექციის ახალი შემთხვევების რაოდენობა}}{\text{ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში} * 100000}$$
94. სიფილისით ავადობის მაჩვენებელი (INCIDENCE OF SYPHILIS) (Заболеваемость сифилисом, новые случаи)
- $$\frac{\text{სიფილისის ახალი შემთხვევების რაოდენობა} * 100000}{\text{მოსახლეობის რაოდენობა}}$$
95. გონოკოკური ინფექციით ავადობის მაჩვენებელი (INCIDENCE OF GONOCOCCAL INFECTION, Заболеваемость гонококковой инфекцией, новые случаи)
- $$\frac{\text{გონოკოკური ინფექციის ახალი შემთხვევების რაოდენობა} * 100000}{\text{მოსახლეობის რაოდენობა}}$$
96. სიფილისით ავადობის მაჩვენებელი ორსულ ქალებში (INCIDENCE OF SYPHILIS AMONG PREGNANT WOMEN, Заболеваемость сифилисом среди беременных)
- $$\frac{\text{ახლადგამოვლენილი სიფილისით დაავადებული ორსულების რაოდენობა} * 100000}{\text{სიფილისზე ტესტირებული ორსულების რაოდენობა}}$$
97. ტრიქომონიაზით ავადობის მაჩვენებელი (INCIDENCE OF TRICHOMONIASIS) (Заболеваемость трихомониазом)
- $$\frac{\text{ტრიქომონიაზის ახალი შემთხვევების რაოდენობა} * 100000}{\text{მოსახლეობის რაოდენობა}}$$
98. ტრიქომონიაზით ავადობის მაჩვენებელი რეპროდუქციული ასაკის ქალებში (INCIDENCE OF TRICHOMONIASIS AMONG WOMEN OF REPRODUCTIVE AGE, Заболеваемость трихомониазом среди женщин репродуктивного возраста)
- $$\frac{\text{ახლადგამოვლენილი ტრიქომონიაზით დაავადებული რეპროდუქციული ასაკის ქალების რაოდენობა} * 100000}{\text{რეპროდუქციული ასაკის ქალების რაოდენობა}}$$
99. ქლამიდიოზით ავადობის მაჩვენებელი (INCIDENCE OF CHLAMIDIOSIS) (Заболеваемость хламидиозом)
- $$\frac{\text{ქლამიდიოზის ახალი შემთხვევების რაოდენობა} * 100000}{\text{მოსახლეობის რაოდენობა}}$$
100. ქლამიდიოზით ავადობის მაჩვენებელი რეპროდუქციული ასაკის ქალებში (INCIDENCE OF CHLAMIDIOSIS AMONG WOMEN OF REPRODUCTIVE AGE, Заболеваемость хламидиозом среди женщин репродуктивного возраста)
- $$\frac{\text{ახლადგამოვლენილი ქლამიდიოზით დაავადებული რეპროდუქციული ასაკის ქალების რაოდენობა} * 100000}{\text{რეპროდუქციული ასაკის ქალების რაოდენობა}}$$
101. მგბ(+) ავადობა (NOTIFICATION RATE FOR NEW SMEAR-POSITIVE CASES) (случаи БК+)
- $$\frac{\text{რეგისტრირებული ახალი მგბ(+) შემთხვევები} * 100000}{\text{მოსახლეობის რაოდენობა}}$$
102. ახალი მგბ(+) შემთხვევების გამოვლენის მაჩვენებელი (CASE DETECTION RATIO OF NEW SMEAR-POSITIVE CASES, Показатель выявления новых БК+ случаев) - შემთხვევათა გამოვლენის მაჩვენებელი

წარმოადგენს გამოვლენილი ახალი მგბ(+) შემთხვევების რაოდენობის შეფარდებას პროგნოზირებულ ახალ მგბ(+) შემთხვევების რაოდენობასთან (თითოეული ქვეყნისათვის ახალი მგბ(+) შემთხვევების პროგნოზირებას ახორციელებს ჯანმო). ეს ძალიან მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამის ეფექტურობის შეფასებისათვის. ტუბერკულოზთან ბრძოლის წარმატებული პროგრამის შემთხვევაში იგი, ჯანმო-ს რეკომენდაციების შესაბამისად, 70%-ს აღემატება.

წლის განმავლობაში რეგისტრირებული ახალი მგბ(+) შემთხვევები * 100

პროგნოზირებული მგბ(+) შემთხვევები

103. ტუბერკულოზის წინააღმდეგ იმუნიზაციით მოცვის მაჩვენებელი (TB VACCINATION COVERAGE) **წინააღმდეგ იმუნიზაციით მოცვის მაჩვენებელი (TB VACCINATION COVERAGE) წინააღმდეგ იმუნიზაციით მოცვის მაჩვენებელი (TB VACCINATION COVERAGE) წინააღმდეგ იმუნიზაციით მოცვის მაჩვენებელი (TB VACCINATION COVERAGE)**

1 წლამდე ასაკში ტუბერკულოზის წინააღმდეგ იმუნიზებულ ბავშვთა რაოდენობა * 100

1 წლამდე ბავშვთა რაოდენობა

104. დტპ-3 იმუნიზაციით მოცვის მაჩვენებელი (DPT3 VACCINATION COVERAGE) **დტპ-3 იმუნიზაციით მოცვის მაჩვენებელი (DPT3 VACCINATION COVERAGE) დტპ-3 იმუნიზაციით მოცვის მაჩვენებელი (DPT3 VACCINATION COVERAGE) დტპ-3 იმუნიზაციით მოცვის მაჩვენებელი (DPT3 VACCINATION COVERAGE)**

1 წლამდე ასაკში დტპ-3 იმუნიზებულ ბავშვთა რაოდენობა * 100

1 წლამდე ბავშვთა რაოდენობა

105. წითელას წინააღმდეგ იმუნიზაციით მოცვის მაჩვენებელი (MEASLES VACCINATION COVERAGE) **წითელას წინააღმდეგ იმუნიზაციით მოცვის მაჩვენებელი (MEASLES VACCINATION COVERAGE) წითელას წინააღმდეგ იმუნიზაციით მოცვის მაჩვენებელი (MEASLES VACCINATION COVERAGE) წითელას წინააღმდეგ იმუნიზაციით მოცვის მაჩვენებელი (MEASLES VACCINATION COVERAGE)**

2 წლამდე ასაკში წითელას წინააღმდეგ იმუნიზებულ ბავშვთა რაოდენობა * 100

2 წლამდე ბავშვთა რაოდენობა

106. პოლიომიელიტის წინააღმდეგ იმუნიზაციით მოცვის მაჩვენებელი (POLIO VACCINATION COVERAGE) **პოლიომიელიტის წინააღმდეგ იმუნიზაციით მოცვის მაჩვენებელი (POLIO VACCINATION COVERAGE) პოლიომიელიტის წინააღმდეგ იმუნიზაციით მოცვის მაჩვენებელი (POLIO VACCINATION COVERAGE) პოლიომიელიტის წინააღმდეგ იმუნიზაციით მოცვის მაჩვენებელი (POLIO VACCINATION COVERAGE)**

1 წლამდე ასაკში პოლიომიელიტის წინააღმდეგ იმუნიზებულ ბავშვთა რაოდენობა * 100

1 წლამდე ბავშვთა რაოდენობა

107. B ჰეპატიტის (3 დოზა) აცრებით მოცვის მაჩვენებელი (HPB VACCINATION COVERAGE) **B ჰეპატიტის (3 დოზა) აცრებით მოცვის მაჩვენებელი (HPB VACCINATION COVERAGE) B ჰეპატიტის (3 დოზა) აცრებით მოცვის მაჩვენებელი (HPB VACCINATION COVERAGE) B ჰეპატიტის (3 დოზა) აცრებით მოცვის მაჩვენებელი (HPB VACCINATION COVERAGE)**

1 წლამდე ასაკში B ჰეპატიტის (3 დოზა) წინააღმდეგ იმუნიზებულ ბავშვთა რაოდენობა * 100

1 წლამდე ბავშვთა რაოდენობა

გამოყენებული ლიტერატურა

1. ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა კვების სტატუსი გვალვისგან დაზარალებულ საქართველოს ექვს რეგიონში 2000 - 2001 წელი, საბოლოო ანგარიში, თბილისი, 2002.
2. ჯანმრთელობის დაცვა, სტატისტიკური ცნობარი, საქართველო 2004, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2005.
3. ჯანმრთელობის დაცვა, სტატისტიკური ცნობარი, საქართველო 2005, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2006.
4. ჯანმრთელობის დაცვა, სტატისტიკური ცნობარი, საქართველო 2006, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2007.
5. ჯანმრთელობის დაცვა, სტატისტიკური ცნობარი, საქართველო 2007, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2008.
6. ჯანმრთელობის დაცვა, სტატისტიკური ცნობარი, საქართველო 2008, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2009
7. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2005.
8. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2006.
9. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2007.
10. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2008.
11. წულაძე გ., მაღლაფერიძე ნ., ვადაჭკორია ა. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება, თბილისი, 2002.
12. დემოგრაფიული მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, დემოგრაფიული და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი, თბილისი, 2005.
13. ვასაძე ო., ჯანელიძე ც., კობალაძე ლ., ჯანდაცვის მენეჯმენტის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 2002.
14. ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასება, საქართველო, 2009.
15. დაავადებათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაცია, მე-10 გადახედვა, 1995.
16. რეპროდუქციული ასაკის სიკვდილიანობის კვლევა, საქართველო, 2008, ნაწილი 1, 2.
17. DEMOGRAPHIC OVERVIEW OF GEORGIA, G. TSULADZE ET AL, TBILISI, 2002.
18. ATLAS OF HEALTH IN EUROPE, WHO, 2008.
19. INTRODUCTION TO PRIMARY HEALTH CARE IN GEORGIA, DFID GEORGIA PRIMARY HEALTH CARE REFORM SUPPORT PROGRAMME 2003-2006, VOL.1.
20. MATERNAL HEALTH EPIDEMIOLOGY, CDC ATLANTA, 2001.
21. REPRODUCTIVE HEALTH SURVEY, GEORGIA, 1999-2000.
22. REPRODUCTIVE HEALTH SURVEY, GEORGIA, 2005.
23. HEALTH QUESTIONS ABOUT THE CAUCASUS AND CENTRAL ASIA, WHO, 2009.
24. NHA (2001-2008), [HTTP://WWW.MOH.GOV.GE/PAGE.PHP?117](http://www.moh.gov.ge/page.php?117)
25. STATE-OF-THE-SCIENCE CONFERENCE STATEMENT. CESAREAN DELIVERY ON MATERNAL REQUEST, NI OBSTET GYNECOL 107: 1386-97, 2006.
26. THE EUROPEAN HEALTH REPORT, WHO, 2009.
27. WORLD HEALTH STATISTICS, WHO, 2009.
28. MILLENNIUM DEVELOPMENT GOALS IN GEORGIA, TBILISI, 2004.
29. Доклад о состоянии здравоохранения в Европе, ВОЗ, 2005.
30. Скотт В., Человеческое развитие в зеркале статистики, как читать цифры?, Братислава, 2006.
31. Социальный Мониторинг «ИННОЧЕНТИ», UNICEF, 2003.
32. Социальный Мониторинг «ИННОЧЕНТИ», UNICEF, 2004.
33. Проект MONEE - ЦВЕ/СНГ/Балтия, Региональный мониторинговый доклад, №5, UNICEF, 1998.
34. Проект MONEE - ЦВЕ/СНГ/Балтия, Региональный мониторинговый доклад, №7, UNICEF, 2000.

35. Мониторинг выполнения Декларации о приверженности делу борьбы с ВИЧ/СПИДом, ЮНЭЙДС, 2005.
36. [HTTP://HDR.UNDP.ORG/DOCS/STATISTICS/INDICES/TECHNOTE](http://hdr.undp.org/docs/statistics/indices/technote)
37. [HTTPS://WWW.MEDICINE.USASK.CA/RESEARCH/HEALTH-RESEARCH-GROUPS](https://www.medicine.usask.ca/research/health-research-groups)